№ 2954
შაბათი,
19 ნოემბერი

ცნობის ფურცელი

№ 2954
შაბათი,
19 ნოემბერი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გაზეთი ღირს: წელიწადში—6 მ. თვეში უდამატებოთ—50 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—3 კ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით, პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „ცნობის ფურც." რედაქციის კონტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27. განცხადებანი რუსეთიდან და საზღარ-გარეთიდან მიიღება ლ. და გ. მეტცლისა და ა. ნ. განცხადებათა კანტორებში მოსკოვსა და პეტერბურგში.

ყოველ-დღიური გამოცემა
1896—1905

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.—დაუბეჭდავს მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ ინახავს, ხოლო ვრცელი წერილები ინახება ერთის თვის განმავლობაში.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели"-"Моамбе". ტელეფონი № 372

შეკერილ ტანისამოსის
ახლად გახსნილ მაღაზიაში
„ექსელანს" გოლოვინის პროს., ტფილისის საკრებულოს ქვეშ, სახლი მანთაშევისა. არის

დიდ ძალი კაცის, ქალის და ბავშვის ტანისამოსი, ფორმის ტანისამოსი ყველა სასწავლებლის და სამოქალაქო დაწესებულებისა. შეიძლება შეკვეთა კაცისა და ქალის ტანისამოსისა. განუწყვეტლივ მოგვდის ყველაფერი, რაც ახალია ბერლინისა, პარიზისა და მოსკოვის სავაჭრო სახლიდან.

მოეპოვება ყოველ გვარი საქონელი საზღვარ-გარეთის და რუსის ქარხნებისა. მთელი მასალა, დამზადებული საკუთარ ქარხანაზე ადესაში, შეძლებას აძლევს „ექსელანს"-ის მაღაზიას მეტად იაფი ფასები დანიშნოს.

საქონლის ყიდვა შეუვაჭრებლად

„ექსელანსის" მაღაზიას სრული იმედი აქვს, რომ ტფილისის პატივცემული საზოგადოება პირადად მობრძანდება და გაიცნობს ყველაფერს. (50—ნ.—32)

იაფ-ფასიანი წარმოდგენა ავლაბრის თეატრში.

კვირას, 17 ნოემბერს 1905 წ. ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება

მეზობლები

სცენები სოფ. ცხოვ. 4 მოქმ. ტრ. რამიშვილისა.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი ნ. გაბუნია-ცაგარლისა, დ. ივანიძე, ა. კარგარეთელი, ოლ. ლექავა, მ. მდივანი; ბ-ნნი: ვ. აბაშიძე, ვ. გუნია, შ. დადიანი, ს, სვიმონიძე, ზ. საფაროვი, ი. ქეიძე, კ. შათირიშვილი, დ. ჩარკვიანი, ვ. ურუშაძე, ჯაყელი.

წარმოდგენა დაიწყება 8 საათზედ.

ადგილების ფასი 10 კაპ. 1 მან. 20 კაპ.

ხუთშაბათს სახაზინო თეატრში ვ. აბაშიძის საბენეფისოდ წარმოდგენილი იქნება ი. გომართლის ახალი პიესა „ქოხში". რეჟისორი **ვ. გუნია.**

ტფილისის სახაზინო თეატრი

სამშაბათს, 1905 წ. 22 ნოემბერს
ქართულ ოპერების მმართველ ამხანაგობის მიერ
დაზარალებულ გურულების სასარგებლოდ
წარმოდგენილი იქნება

I

სევილიელი დალაქი

ოპერა 3 მოქ. და 4 სურათ. მუსიკა როსსინისა, თარგმანი ვ. გუნიასი

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი: მიტკევიჩისა, ბაქრაძე; ბ-ნნი: არჩეული, ცხომელიძე, აგასი, კარგარეთელი, ჯაფარიძე, მეიფარიანი.

II

საკონცერტო განყოფილება

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი: არციბაშევა კარრი, ბ-ნნი: დონსკოი, კოლოტოვი, სოკოლსკი, ევლახოვი, ტომაშევიჩი და ქართული ხორო.

ბილეთების წინდაწინვე ყიდვა შეიძლება „ვოზროჟდენიე"-ს რედაქციაში და ქართვ. შორის წერა-კითხვის გამავრც. საზ. კანცელარიაში.

ტფილისის სიფხიზლის საზოგადოება
რკინის გზის თეატრი

შაბათს, 19 ნოემბერს, სახალხო თეატრის სცენის მოყვარეთა მიერ **დაზარალებულ გურულთა სასარგებლოდ** წარმოდგენილი იქნება

მეზობლები

დრამა 4 მოქმ. რამიშვილისა

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი მდივანი, რომანიშვილი, ივანაშვილი, შაყულაშვილი, ჩაგუნავა: ბ-ნნი ურუშაძე, ანანიაშვილი, ხახანაშვილი, ჯაბაური, გოცირიძე და სხვანი.

დასაწყისი $7^1/_2$ საათზე.

ბილეთები გაიყიდება პარასკევს 3 საათზე და წარმოდგენის დღეს 5 საათიდან კასსაში.

(2—უ.—2) რეჟისორი **ნ. გოცირიძე.**

სამკურნალო ექიმთა საზოგადოებისა
ტფილისში

მუდმივის საწოლებით, ელისავეტინსკის ქუჩა, 101, ტელ. 1026.

მიიღებიან გარედან მოსიარულე ავადმყოფნი

მ. გ. ალაჯანოვი. 11—12 ს. შარდისა, ვენერიულ, სიფილისის და ნაწლევების ავადმყოფობანი.

ი. ნ. ეგიაზაროვი. 11—12 ს. ნერვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი; ელექტრონით წამლობა.

პ. ნ. დემიდოვი. 11—12 ს. ქალის ავადმყოფობანი და ბებიაობა.

გ. ა. ტატევოსოვი. 12—1 ს. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობანი.

ი. ე. ავეტისოვი. 12—1 ს. ქალის ავადმყოფობანი და ბებიაობა.

მ. პ. კიმონტი. 1—2 ს. სადოსტაქრო ავადმყოფობანი.

მ. რ. ელჩიევი. 1—2 ს. ცხვირისა, ყელისა და ყურის ავადმყოფობანი.

პ. ა. ბეიერი. 1—2 ს. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

სამკურნალოსთან შეიძლება ჰიპნოტიზმით მკურნალობა, მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი, აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ. ოპერაციები და კონსულტაციები მორიგებით. სასტაციონერო განყოფილება შეიცავს საზოგადო პალატას და ცალკე ოთახებს. (150—30)

ექიმი
პ. ა. არდაზიანი

იღებს შინაგან და ბავშვების ავადმყოფებს დილის 7—8 ს. და 4—7 ს. საღ. აქვე სწარმოებს ქიმიკო-მიკროსკოპიული გამოკვლევა.

ადრესი: ელისაბედის ქ. № 160. (16—024—12)

კვირას, 20 ნოემბერს

დილის 10 საათ. ნაძალადევში დანიშნულია

სახალხო მიტინგი

გასარჩევი კითხებია: 1. მოძრაობა სალდათებში,—2. კავშირების თავისუფლება და ფოსტა-ტელეგრაფის უწყება —3. ხოცვა-ჟლეტის პროვოკაცია.

ტფ. ს.-დ. მუშათა ორგანიზაცია.

ქართველ მასწავლებელთა კრება

ორშაბათს, 21 ნოემბერს, საღამოს 7 საათისთვის სამეურნეო ბანკის სადგომში დანიშნულია ქართველ მასწავლებელთა კრება. კრებას აზრადა აქვს დაარსება ქართველ პედაგოგთა საზოგადოებისა, რომელმაც ახალის პროგრამით ქართული სკოლა უნდა მოაწყოს. ძლიერ სასურველია, რომ ყველა პედაგოგები დაესწრნენ კრებას. (უ. 2 - 1)

მედიცინის დოქტორი
მ. ი. მურადოვი

ყოფილი ორდინატორი მოსკოვის უნივერსიტეტისა, იღებს სპეციალურად საშარდეს, სიფილისის და კანის სნეულებიან ავადმყოფებს, ყოველ დღე 10 დან—11-მდე და 5-დან 7 საათამდე, რტიშჩევსკის ქ., ს. № 1. ცეცხლის საქრობ რაზმის პირდაპირ. ტელეფონი 711. (50—368—29)

ექიმი
გ. ი. ტერ-გრიგორიანცი

იღებს შინაგან (სპეციალურად ფილტვის) ავადმყოფებს და ბავშვებს. გასინჯვა და მკურნალობა რენტგენის სხივებით. ავადმყოფები მიიღებიან დილით 10—12 ს. საღამოთი 5—7 ს.-მდე. მიხეილის პროსპ. № 154. (თვ.—371—31)

მედიცინის დოქტორმა
გ. ი. გურგენოვმა,

შტატის ორდინატორად ნამყოფმა ხარკოვის საბებიო და საგინეკოლოგო კლინიკაში, განაახლა საბებიო და ქალის სნეულობით ავადმყოფთა მიღება. დილით 10—12 საათზე, საღამოთი 5—6 საათზე. გოლოვინის პროსპ., სახ. მდივნისა, № 12, საარტისტო საზოგადოების შენობის პირდაპირ. (თვ.—406—25)

ელექტრო-თერაპიული კაბინეტი
მიხეილ გედევანიშვილისა

იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთ 6—7 ს.-მდე ყორღანოვის ქუჩაზე (ვერაზე) საკუთარი სახლი № 20. ტელეფონი 791.

ავადმყოფთათვის არის ერთი კრაოტი.

ექიმი
ა. ნ. დიასამიძე

მიიღებს ავადმყოფებს: სიფილისის, კანის და ვენერიულის ყოველ დღე დილის 8—11-მდე და საღამოს 6—8-მდე, გარდა კვირა საღამოსი. ლორის-მელიქოვის და ბარონის ქუჩების კუთხე, მესხიშვილის სახლი, ფოსტის პირდაპირ № 18. (წლ).

კბილის ექიმი
ი. ზ. კანდელაკი

გადავიდა ახალ ბინაზედ მიხეილის პროსპექტი, № 44, სახლი აბულაძისა.

იღებს კბილის სნეულებით ავადმყოფებს, უკეთებს პლომბებს, სხამს ახალ ხელოვნურ კბილებს ყოველ გვარ მეთოდზე, დილის 9—2 და საღამოს 5—6 საათამდე. (თვ.—80—33)

ექიმი
მ. პ. ბეზირგანოვი

სიმონოვის ქუჩა № 7. მიიღებს ავადმყოფებს საღამოს 5—$7^1/_2$ საათ. (თვ.—14)

ექიმი
ვ. ს. მუსხელიშვილი

მიიღებს თვალებით ავადმყოფებს: დილით ყოველ დღე 9—$11^1/_2$ ს. საღამ. უქმეებს გარდა 6—7 ს. კუთხე კიროჩნის და დიდი-მთავრის ქუჩისა № 12, სახლი სვანიშვილისა.

ტფილისი, 19 ნოემბერი.

კავკასია და რევოლიუცია.

ჩვენ ეხლა ნამდვილ რევოლიუციის ხანაში ვცხოვრობთ და ეს გარემოება არავისთვის ახალი არ არის. რევოლიუცია შარშან დაიწყო და მას შემდეგ დღითი დღე ძლიერდება, ხოლო ამ ბოლო დროს იმ ზომამდე მივიდა საქმე, რომ უნდა გადასწყდეს, ვინ გაიმარჯვებს: რეაქცია, თუ პროგრესიული ძალები. აქამდის მხოლოდ რევოლიუციონურ მოძრაობის ზრდის პროცესსი იყო, დღეს კი ნამდვილი რევოლიუციაა. ამ პროცესში თვალ-გადუწვდენელ რუსეთის თვითეულ კუთხეს თავისი ღვაწლი მიუძღვის. თვითეულ ხალხოსნობას თავისი წვლილი აქვს შეტანილი.

იმავ თავითვე, როდესაც ეს მოძრაობა ახლად დაიწყო, შუაგულ რუსეთში სულ იმას გაიძახოდნენ თურმე, განაპირა ქვეყნები დაგვიხსნიან, ისინი მოახდენენ ნამდვილ რევოლუციასაო. ამ განაპირა ქვეყნებში, რა თქმა უნდა, პოლონეთი, ფინლიანდია და კავკასია იგულისხმებოდა. პირველი შეხედვით ამ განაპირა ქვეყნებმა თითქოს ვერ გაამართლეს შიდა რუსეთის იმედი: ფინლიანდიამ თავისი წადილი შეისრულა, დაკმაყოფილდა და მიჩუმდა. პოლონეთიც თავის ავტონომიას თხოულობს. კავკასიაც ამ ბოლო დროს აღარა სდგას სათავეში და ცენტრალურ რუსეთს ჩამორჩა. თუ ის იმედი, რომელიც ცენტრალურ რუსეთსა ჰქონდა განაპირა ქვეყნებისაგან, პირდაპირ გავიგეთ, მაშინ არა თუ იმედი გაცრუებულია, შეცდომაც არის, რადგან შეუძლებელია განაპირა ქვეყნებმა ბოლომდის მოწინავე რაზმის როლი ითამაშონ და საქმე გადასწყვიტონ. ამისთანა შემთხვევებში საქმე ყოველთვის ცენტრში სწყდება და უკანასკნელ შეტაკების დროს მეტი ძალაც იმას ადგება.

მაშ რა მნიშვნელობა აქვს განაპირა ქვეყანას? ეს კარგად გვიჩვენა კავკასიის მაგალითმა. მაშინ, როდესაც დაწყებული მოძრაობა რუსეთში მინელდა, როდესაც ეხლანდელ რეჟიმით უკმაყოფილება მხოლოდ წარმომადგენელთა კრებებსა და ხელმწიფის წინაშე სიტყვების წარმოთქმაში გამოიხატებოდა,—აი, ამ დროს კავკასია არ დამცხრალა და განაგრძობდა თავის ტაქტიკას. ამისი მიზეზი ადვილად გასაგებია. ყველასათვის ცხადია, რომ განაპირა ქვეყნები უფრო მეტ ტანჯვაში იყვნენ ძველის რეჟიმისაგან, ვიდრე ცენტრი. განაპირა ქვეყნებმა ყოველნაირი ტანჯვა გამოსცადეს თვითმპყრობელობისაგან, ამ ტანჯვის ასაცილებლად ყოველივე კანონიერი ხერხი იხმარეს და სხვაზე ადრე მიხვდნენ, რომ ყველა ეს ხერხი, ყველა ეს საშუალება უნაყოფოა. სხვაზე ადრე განაპირა ქვეყნებს გაუტყდათ იმედი ლეგალურ მოქმედებისა და აი სწორედ ამიტომ არ ასცდნენ ერთხელ და ერთხელ დაწყებულ გზას, არ გადაუხვიეს ამ გზას მაშინაც-კი, როდესაც ცენტრის მოძრმობა მიმქრალდა და ჩაქრობას ლამობდა. მართალია, მოძრაობის ჩაქრობა ჯერ კიდევ შორს იყო, ეს ხანა მოლოდინის ხანა იყო. ყველამ იცოდა, რომ ცუსიმის სრუტეში დამარხული ბიუროკრატია რასმე გამოიგონებს, და ამის მოლოდინში იყო, პოლონეთიც სწორედ ამ დროს მიჩუმდა: შესწყდა ყუმბარების სროლა და ყაზახებზე თავდასხმა, რაც პოლონეთში ყველაზე ადრე დაიწყეს.

აი ამ მიჩუმების დროს გამოვიდა კავკასია თავის გაფიცვებით და სხვა და სხვა აქტით. ეს მდგომარეობა გაგრძელდა თიბათვიდან დაწყებული ვიდრე სექტემბრის გასვლამდის. იმ დროს, როდესაც რუსეთი სდუმდა, მხოლოდ კავკასიის ხმა ისმოდა. ეხლა-კი, როდესაც რუსეთის ცენტრმა მხარი დაუჭირა და წინაც გაუსწრო, კავკასია რამოდენადმე მიწყნარდა. ვინ იცის, კავკასიას რომ არ ეღვიძებინა რუსეთი სიჩუმის დროს, იქნება ეს მოძრაობა დღეს ისე ძლიერი არა ყოფილიყო. ამ სიჩუმის ბანაკში კავასია იპყრობდა მთელი რუსეთის ყურადღებას და საერთო სიჩუმეს ის არღვევდა; ის აღვიძებდა მიძინებულ რუსეთს და თვლემას უფრთხობდა. კავკასია აღვივებდა უკვე ჩაფერფლილ ცეცხლსა და ეს ცეცხლი არ ჩაუქრია იმ დრომდის, ვიდრე ნაღვერდალს საშინელი ალი არ ავარდა.

ასეთი როლი კავკასიამ თავის და უნებურად იკისრა და მიზეზი ამისა თვით კავკასიის მოძრაობის ხასიათია. კავკასიის მოძრაობა ძლიერ განირჩევა რუსეთის ცენტრის მოძრაობისაგან. აქ რევოლიუციონური მოძრაობა, ამ სიტყვის ნამდვილ აზრით, დიდიხანია დაიწყო. საუკეთესო დამამტკიცებელი საბუთი ამისა გლეხთა მოძრაობაა. არც გურიის გლეხების მოძრაობა და არც ქართლისა არა ყოფილა მოულოდნელ აფეთქების შედეგი, როგორც რუსეთში. იქ პოლტავის და ჩერნიგოვის გუბერნიის აჯანყების შემდეგ მოძრაობა მისწყდა. თუმცა უკმაყოფილება ხელახლა იზრდებოდა, მაგრამ შიგ ხალხშივე ტრიალდებოდა და გასავალს ვერა პოულობდა. ეხლა-კი უცებ იფეთქა, და აი ამით არის საშიში რუსეთის გლეხთა ეხლანდელი მოძრაობა. შეიძლება მოზღვავებულმა გლეხობამ ყველაფერი წალეკოს, მაგრამ შეიძლება უცებაც დამშვიდდეს, ჩააქროს მოძრაობა და, ასე გასინჯეთ, რეაქციასაც-კი მხარი დაუჭიროს, თუ ჯეროვანი და საკმაოდ ძლიერი ხელმძღვანელნი არ ეყოლება.

ჩვენებური გლეხთა მოძრაობა-კი მეთოდიურია. ჩვენი გლეხობა ძირიდან იწყებს და ნელ-ნელა ფაქტურად სცვლის ცხოვრებას, თუმცა არც ისეთი სიფიცხე გამოუჩენია, როგორც რუსეთის გლეხობას. აი ამიტომ შეგვიძლიან ვთქვათ, რომ კავკასიამ დღემდისაც დიდი როლი ითამაშა თანამედროვე მოძრაობაში და ამას იქითაც დიდ როლს ითამაშებს. იმას, რისაც რუსეთში ეშინიანთ, ადგილი არა აქვს. მეთოდიურად, ორგანულად გაზრდილი ძალა არ დასცხრება, თუნდ დროებით მიყუჩდეს კიდეც. აქ მიყუჩების დროსაც შემოქმედებითი მუშაობა არა სცხრება, რაც გურიამ საუკეთესოდ დაამტკიცა. რუსეთის გლეხთა მოძრაობის მოთავენიც გრძნობენ ამას და საჭიროდ სთვლიან მოძრაობას ამგვარი ხასიათი მისცენ. ამ ცდის შედეგი იმაზეა დამოკიდებული, თუ რამდენად მოახერხებენ მოზღვავებულ ძალის ამ კალაპოტში ჩაგდებას. თვითონვე გრძნობენ ამას და ამიტომ ეძახიან კავკასიას მოძრაობის ავანგარდს.

დიახ, ავანგარდი იყო კავკასია და ჯერ-ჯერობით საფუძველი არ გვაქვს ვიფიქროთ, რომ ეს ავანგარდობა სხვასთან გადავა.

პოლიტიკური ბრძოლა თავისუფლებისათვის რუსეთში

(პოლიტიკური ქრონიკა)

წერილი მეექვსე

წინა წერილში აღნიშნული „ორმოცდაათის" პროცესი იმით იყო შესამჩნევი, რომ იმ დროის რევოლუციონურ ორგანიზაციების მეთაურებმა პირველად შეადგინეს რუსეთის სოციალ-რევოლუციონერთა პროგრამა, რომელშიაც ვრცლად და გარკვევით აღნიშნეს პოლიტიკური და ეკონომიური მოთხოვნილებანი. ეს პროგრამა დღემდის თითქმის უცვლელად დარჩა. ეს პროცესი საგულისხმიეროა იმით, რომ ამ პროცესში გაბმულნი, თითქმის ყველანი, ნამდვილი სოციალისტები იყვნენ, რომელთაც პოლიტიკურ-ეკონომიური საკითხები ფილოსოფიურად ჰქონდათ შესწავლილი. პროცესი იმით არის კიდევ საინტერესო, რომ მან თითქმის პირველად გამოიყვანა სამოქმედო ასპარეზზე რუსის განათლებული ქალი და მოუპოვა კიდეც სახელი ისტორიაში. პროცესი უკვდავი მოწმეა რუსეთის ბარბაროსულ დროისა: თითქმის ყველა, პროცესში გაბმული, აწამეს იმ ბასტილიაში, რომელსაც ხარკოვის „ცენტრალკა" ერქვა. აქ, ამ „ცენტრალკა"-ში, ისე აწამებდნენ პოლიტიკურ დამნაშავეებს, ამ ხალხის თავგანწირულ მეგობრებს, როგორი წამებაც იშვიათი იყო საშუალო საუკუნოებშიაც-კი. ეს „ცენტრალკა" საზიზღარი ბასტილია იყო, ნამდვილი ჯოჯოხეთი, სადაც საიდუმლოდ ფარფაშებდა და ბატონობდა თვითმპყრობელობა.

მოკლედ ავსწერ ამ ჯოჯოხეთის „კამერას," სადაც აწამებდნენ ხოლმე სოციალ-რევოლუციონერებს.

„კამერა" სიგძით ოთხი და სიმაღლით ხუთი არშინი იყო. ერთ კუთხეში, მაღლა კუნჭულოში, პაწაწინა ფანჯარა ჰქონდა, საიდანაც სინათლე არ შედიოდა და „კამერაში" მუდამ ბნელოდა. „კამერაში" კედელზე მიკრული იყო პატარა კრაოტი, სტოლი და ტაბურეტკა. კარებთან დგას „პარაშა" (უბრალო ბოჩკა, რომელიც წარმოადგენს ტუსაღის ფეხის ალაგს). „კამერის" კუნჭულებში დიდ-დიდი ხვრელები იყო, საიდანაც ლურჯ-ლურჯი, ღორივით ქეჩოიანი, შიმშილით გახელებული, ბრაზიანი ძაღლებივით ვირთაგვები იცქირებოდნენ.[1] პატიმარს ამათის დანახვით ტანში ჟრუანტელი უვლიდა და ეშინოდა ღამე ვირთაგვებს მისთვის ყელი არ გამოეჭრათ. „კამერას" თვით ტუსაღი სწმენდდა. დილა ადრიან შემოჰქონდათ „საუზმედ" პატარა ნაჭერი შავი პურისა, ხშირად მატლებიანი, და „კრუჟკით" ცივი წყალი; შუადღის 12 საათზე შემოჰქონდათ „სადილი"—პატარა „ლახანკასავით" ჯამში, ვითომც „ბორშჩი". ეს „ბორშჩი" შესდგებოდა ორიოდე დამპალ კომბოსტოს ფოთლისა და ორიოდე ნაჭერ წამხდარ ქონისაგან და ბრინჯის მაგიერ „ბორშჩში" ეყარა ქერი და უმეტესად-კი თაგვის ცურცლები. პირველ დღეებში ზიზღით შესცქეროდა ტუსაღი, მაგრამ ვირთაგვებისთვის ვერა მოეხერხებინა-რა. ჰფიქრობდა: „მოდი ერთი ეს ოხერი ვირთაგვები რამენაირად მოვაშინაურო ამ ჩემის „ბორშჩით". რამდენისამე დღის განმავლობაში ტუსაღი თავის მიზანს აღწევდა, მოშინაურებული ვირთაგვები თავისუფლად თარეშობდნენ ტუსაღის „კამერაში" და ისე შეეჩვეოდნენ თავის გულკეთილ სტუმარს, რომ ხან თავზე, ხან მხარზე შეახტებოდნენ და ყელის გამოჭრას აღარ ემუქრებოდნენ. დიდის გაჭირვებით ეჩვეოდა ტუსაღი ძილსაც. საღამოს დარაჯი ჩამოხსნიდა კრაოტს და ძილის ნებას აძლევდა ტუსაღს. კრაოტი შესდგებოდა ერთის ვიწრო ფიცრისაგან, რომელზედაც არავითარი ლოგინი არ იყო. ბალიშის მაგივრად აძლევდნენ პატარა რგვალ ხის ნამორავს. „კამერაში" სინესტე და სიცივე იყო. ტუსაღს ტანზე ერთი საცვლის და მაზარას გარდა არა გააჩნდა-რა. რა ექნა, რანაირად მოეხერხებინა დაწოლა და ძილი? გამოეხვეოდა თავის მაზარაში და დაეგდებოდა ვიწრო ცარიელ ფიცარზე, მაგრამ ეს არაფერი, რომ სასთუმალი ჰქონოდა—ერთობ აწუხებდა მრგვალ ნამორავზე თავის დადება. ნახევარი თავი ტუსაღს, როგორც კატორღელს, გადაპარსული ჰქონდა და სხვა და სხვა.

ეს ამისთანა ბარბაროსული წამება ბევრმა ვერ აიტანა—ბევრი ჭკუაზე შეიშალა და ბევრი მთლად გამოეთხოვა სიცოცხლეს. დანარჩენებმაც ამისთანა დღე მოელოდათ და გადასწყვიტეს შიმშილით პროტესტის გამოცხადება. შვიდი დღე და ღამე არც ლუკმა პური და არც წვეთი წყალი არ მიუღიათ ტუსაღებს. საპყრობილე წარმოადგენდა ნამდვილ სამარეს და მთელს საპყრობილეში მკვდრის სუნი იყო გამდგარი. მერვე დღეს თვითმპყრობელობის ჯაშუშებმა შეადგინეს კომისია საქმის გამოსაძიებლად, მაგრამ პასუხი ვერავისგან ვერ მიიღეს—თითქმის ყველანი ნახევრად მკვდრები იყვნენ და ხმის ამოღება არ შეეძლოთ. კომისიამ, „კანონის" ძალით, გადასწყვიტა „ისკუსტვენნოე კორმლენიე".[2] ვერც ამან უშველა კომისიას. მოვიდა თვითმპყრობელის ბრძანება პეტერბურგიდან და წამებულნი, ბორკილებით გაქაჩულნი, როგორც მკვდრები საკაცეებით გადაიტანეს საავადმყოფოში.[3]

„ორმოცდაათის" პროცესის ბოლოს ბევრმა ტუსაღმა-რევოლიუციონერმა შესამჩნევი და დიდად საყურადღებო სიტყვები წარმოსთქვა, მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროდ, ოთხი ორატორის სიტყვის მეტი ვერ ვიპოვეთ. თვით მთავრობის ცნობებში განგებ არის გამოტოვებული საყურადღებო სიტყვები ბევრ ორატორისა და, მათ შორის, ი. ს. ჯაბადრის და ა. ციციშვილისა. შემდეგ წერილში ცოტა შემოკლებით მოვიყვანთ ზოგიერთ ორატორის სიტყვებს.

მ—ხი.

---

[1] „ცენტრალკას" გარდა მხედველობაში გვაქვს აგრეთვე „პუგაჩოვის ციხე", სადაც ერთ დროს პუგაჩოვი აწამეს, აქვე აწამეს ექვს თვის განმავლობაში ორმოცდა ათის პროცესის რევოლიუციონერებიც.

[2] ტუსაღს, რომელიც სულს ღაფავდა და თითქმის მკვდარი იყო, შეჰკოჭავდნენ ბაწრებით და ექიმის ბრძანებით ფერშლები ათასნაირ წვალებით უხინებდნენ ოყნებით ბულიონს.

[3] ორ წელიწად ნახევარი გაატარეს ამ ბარბაროსულ წამებაში.

დაზარალებულთა სასარგებლოდ

ვარდიაშვილის, კალანდაძის და მინასოვის მიერ ავჭალის ქუჩის მოედანზე ვაჭრებსა და ხელოსნებს შორის დაზარალებულ გურულთა სასარგებლოდ შეკრებილი—43 მანეთი. შემომწირველთა სია:

ვარლამ მინასოვი 1 მ., იოსებ კალანდაძე 2 მ., ბართლომე ვარდიევი 1 მ., ივანე ჩუბინიძე 50 კ., ათანასე ბრაგვაძე 50 კ., მიხელ ედიბერიძე 1 მ., გიორგი აფრასიონი 50 კ., შაქრო ხოხობოვი 50 კ., სოსიკო იაშვილი 50 კ., სიმონ სირაძე 1 მ., სამსონ არჩვაძე 50 კ., სანდრო ბაიდოშვილი 35 კ., ალექსი ბაიდრელოვი 15 კ., მარქარ ტერტეროვი 50 კ., კოლა მამიაშვილი 25 კ., ივანე ბერიევი 50 კ., მელიქ მელიქსეტოვი 1 მ., ნიკალაი ზარიძე 50 კ., გეურქ მელიქსეტოვი 1 მ., ერვანდ ბახშინოვი 50 კ., კარაპეტ ბაირამოვი 1 მ., გალუსტ ოსეფოვი 20 კ., კოსტა კარსელაძე 50 კ., გიორგი ნასყიდაშვილი 50 კ., სოლომონ ზურაბოვი 30 კ., თედო ქუჟუნაშვილი 30 კ., სანდრო ბერიკაშვილი 30 კ., ალექსი ლეკიშვილი 30 კ., გიორგი თანგოაშვილი 50 კ., ვანო თანგოაშვილი 50 კ., საქულ ზახაროვი 50 კ., ვართან კოსიანცი 30 კ., მიხეილ გვენცაძე 50 კ., მირზა მუხთარა მამად-ოღლი 50 კ., ბაჟბეუქ მელიქოვი ვანო 50 კ., ვასო ყარყარაშვილი 50 კ., ვართ პატრიკოვი 40 კ., ძმები ედიშეროვები 50 კ., სანდრო ქიაურელი 1 მ., ილიკო ქვახარშიაშვილი 50 კ., ნიკო და ქიტესა 10 კ., ალექსი მიხაილოვი 50 კ., სტეფან ვარნაზოვი 20 კ., გიგო ბექანოვი 50 კ., არშაკ ანდრიასოვი 50 კ., მიხა სიდამონიძე 1 მ., გიორგი ზაალოვი 50 კ., გიგო ნიკოლაიშვილი 20 კ., ივანე შაევრდაშვილი 2 მ., ნესტორ საგანელიძე 50 კ., მიხაკ ახნაზაროვი 50 კ., ყაზარ სააკოვი 50 კ., პეტო ებალოვი 40 კ., მოსე ყირმიზოვი 50 კ., არტემ ყირმიზოვი 50 კ., სარქის მესროფოვი 50 კ., გლახა ღლონტი 1 მ., ბარაშა კოზმაევი 50 კ., გეურქ ტატიანცი 1 მ., ესტატე ხახაშვილი 1 მ., ვანო ცხვარაძე 1 მ., გეგენა ქვრივიშვილი 25 კ., გეურქ ბატიევი 20 კ., ნიკო მაისურაძე 20 კ., იოსებ გერკული 50 კ., ილიკო ცაგურია 1 მ., პლატონ ავალიანი 1 მ., მიხეილ მესროფოვი 2 მ., მალხაზ თარაშვილი 50 კ., დარჩო ტურაშვილი 50 კ., ვასო აზარიაშვილი 10 კ.

—

ავქსენტი ივანეს ძის ჯანგვალაძის მიერ დაზარალებულ გურულთა სასარგებლოდ ტფილისელ ოქრო-მჭედლებს შორის შეკრეფილი—20 მ. 45 კაპ. შემომწირველთა სია:

ავქსენტი ჯანგვალაძე, თომა ანდრიას ძე ჯიქია, პარმენ ფუთურიძე, სერაფიონ შენგელია, კოტე ფირცხალავა, შაქრო მარტიროზოვი, ერასტი გორდაძე, დათიკო გუდაძე, ვანო გურგენიძე, სანდრო ჩილაძე, თითო მანეთი. ვასო სგირაშვილი 50 კ., სიმონა იაშვილი 50 კ., ვლადიმერ კიკნაძე 15 კ., სერაფიონ შელიაშვილი 50 კ., ვლადიმერ ხვიჩია 50 კ., მიხაილ პიტინავა 20 კ., ოქრო რატიშვილი 30 კ., მაქსიმე ღრუბელაშვილი 20 კ., ანტონ სანთელაძე 20 კ., ექვთიმე მახაშვილი, ონისიმე ჩიკვაიძე, მიხეილ იმედაძე, საქურ ბაღდასაროვი, ილიკო დასმიშვილი, გიორგი კალანდაძე, ბეჟანა ხეჩუევი, გიორგი მიქაძე, გიორგი ცხონებული, ნიკოლოზ ცხონებული, ათ-ათი შაური. ნიკოლოზ გოგიჩაძე 20 კ., სერგო დავლადბეგოვი 25 კ., ოსიპ სარქისოვი 60 კ., ავეტიკ ჰაირაპეტოვი 15 კ., არუთინ ალაჯანოვი 10 კ., იოსებ აკოფოვი 40 კ., არჩილ ასათიანი 50 კ., ტარასი გუნცაძე 50 კა.

—

სადგურ შორაპნის მემანქანეთა და სხვათა შორის გურულთა სასარგებლოდ შეკრეფილი 26 მან. 70 კაპ. შემომწირველთა სია:

დ. ს. ახალკაცი 2 მ., ფ. ბერგერი, გ. ი. გიგიბერია, ა. ნ. ცქიტიშვილი, ი. ვ. ცნობილაძე, კ. ა. ვაშაკიძე, ლ. გ. გონგაძე, გ. ნ. ნაბიჭვრიშვილი, მ. მდევაძე, ი. ლ. არაბიძე, ზ. შ. ჯაჯანოვი, პ. ნ. საყვარელიძე, ი. თ. ჩოგოვაძე, ზ. ე. ქამუშაძე, კ. ტერ-არუთინოვი, პ. მ. მაისურაძე, ი. ო. ფუტკარაძე, თითო-თითო მანეთი; ვ. ს. ეგოროვი 50 კ., მ. რ. ტერაკი 20 კ., ხ. ს. შაროვი 35 კ., თ. ს. ცნობილაძე 10 კ., ი. შუბლაძე 30 კ., ვ. გელაშვილი 10 კ., ი. შუბლაძე 50 კ., ს. ერაძე 20 კ., ლ. ა. ავინიკაძე 50 კ., ი. ნ. გაბისონია 20 კ., მ. ა. მანჯავიძე 15 კ., X 50 კ., ბ. ო. ფუტკარაძე, ს. ნ. შავიძე, გ. ე. ებანოიძე, ათ-ათი შაური., ბ. სპეგალსკი 30 კ., გ. მ. ვაშჩენკო 50 კ., ტელიატნიკოვი, 20 კ., გ. ი. ანდრონოვი 50 კ., ლ. ფილიპოვი 20 კ., მ. ი. ტუზოვი, კ. ა. ფირცხალავა, ათ-ათი შაური., ვ. გორგოძე 1 მ.

—

სადგურ თაუზის ქართველ მოსამსახურეთა შორის დაზარალებულ გურულთა სასარგებლოდ შეკრებილი 10 მან. სია შემომწირველთა:

ცაგარეიშვილი იროდიონ, გაჩეჩილაძე რაჟდენ, ამირანაშვილი ვარლამ, იოსელიანი ილია, ვართაპეტოვი გიგა, ვაშაკიძე რაჟდენ, თითო მანეთი. მასურაშვილი ივანე 50 კ., ხუციშვილი ილარიონ 1 მ., გელაშვილი დიმიტრი 50 კ., მაჭავარიანი გრიგოლ 50 კ., მახათაძე ნიკო 50 კ., მაისურაძე ივანე 1 მ.

—

სოფელ კირბალის მცხოვრებთ დაზარალებულ გურულთა სასარგებლოდ გამოჰგზავნეს 9 მ. 15 კ.

—

როცა გავარდა ხმა, რომ ჩვენი სამშობლოს ერთი საუკეთესო კუთხე გურია საფრთხეშიაო, ჩვენს დარდსა და ვარამს საზღვარი არა ჰქონდა. მოვგროვდით რამდენიმე კ'ცი იმის გამოსარკვევად, თუ რა გზას დავსდგომოდით... ბევრი აღარ გვიფიქრია, გადავსწყვიტეთ წავსულვიყავით ფეხით, რადგან რკინის გზების მოძრაობა, საყოველთაო გაფიცვის გამო შეჩერებული იყო. შევუდექით თადარიგს და მოვემზადენით, რომ ამ დროს ვკითხულობთ ქუთაისის ვიცე-გუბერნატორის დეპეშას, რაც მკითხველებმა უკვე იციან, და ჩვენი აზრიც შეიცვალა... და რადგან ახლა, ჩვენდა სასიხარულოდ, გურია ჩვეულებრივ მდგომარეობაში იმყოფება, ამისათვის ჩვენ, ჩვენს, ამ მიზნისათვის გადადებულს, სათადარიგო წვლილს ას მანეთს მივუძღვნით დაზარალებულ გურულებს ჩვენის გულითადის თანაგრძნობით, სალამითა და ძმურის სიყვარულით

ათის კაცისაგან შემდგარ პატარა ჯგუფის მონდობილობით **იასე რაჭველი.**

—

სულ დღემდე დაზარალებულთა სასარგებლოდ ჩვენს რედაქციაში შემოვიდა 1981 მ. 9 კაპ.

მოწოდება

ამხანაგებო! 17 ოქტომბერს ჩამოჰკრა სასიამოვნო წამმა და გამოაცხადა მანიფესტი, რომლითაც რუსეთის მკვიდრთ ენიჭებათ კრების, კავშირის, პრესსის თავისუფლება და ბინის ხელუხლებლობა. მთავრობამ ეს სიკეთე „მიანიჭა" ხალხს მაშინ, როდესაც ყველამ საერთო და მედგარი იერიში მიიტანა თვითმპყრობელობის დასამხობად. ამ იერიშში საოცრად დიდი ადგილი დაიჭირა მშრომელმა ხალხმა; იმას მიჰყვნენ სხვა კლასებიც. ეს თავისუფლება ხალხს-კი არ „მიანიჭეს", ძალით წაჰგლიჯა თავის სულთამხუთავს, რომ უფრო მხნედ შეუდგეს მუშაობას და ფართო გზა გასჭრას უფრო დიდ თავისუფლებისთვის, მოიპოვოს საშუალება, რომ წინ წავიდეს, მილეწ-მოლეწოს ყველაფერი, რაც გადაელობება, გაანადგუროს ძველ გეგმაზე აგებული სახელმწიფო და იმის ნამთზე ააგოს ხალხური წეს-წყობილება.

მაშინ, როდესაც ესენი ხდება და ხალხი ირაზმება, როდესაც ყველა ერთად ხელიხელ ჩაკიდებული წითელ დროშის ქვეშ, რომელზედაც სწერია: „ან სიკვდილი, ან თავისუფლება", უნდა მიილტვოდეს ერთის მიზნისაკენ, როდესაც არც რეაქციასა სძინავს და ისიც ახალ-ახალ პარტიებს (ხულიგანების) ამზადებს გამანთავისუფლებელ მოძრაობის ჩასაქრობად,—აი, ამ დროს შინ თავი იჩინა პარტიულმა განხეთქილებამ; თავი იჩინა კი არა, უფრო გამწვავდა და გაძლიერდა: სოციალ-რევოლიუციონერი ებრძვის სოციალ-დემოკრატს, სოციალ-დემოკრატი—სოციალ-ფედერალისტს და ეს უკანასკნელიც სხვა პარტიას. ყველა ამათ კი ერთად მედგარი ბრძოლა მოელით დახავსებულ ბიუროკრატიულ წეს-წყობილებასთან. ებრძვიან ერთმანეთს სიტყვით და, საჭიროების დროს, საქმითაც. როგორც გაზეთებიდანა სჩანს, შეიძლება ტყვია-წამალიც არ დაზოგონ ერთმანეთისათვის. რაც შეიძლება სცდილობენ, უშვერის სიტყვებით ერთი-ერთმანერთის პარტიას ცილი დასწამონ.

რას მოასწავებს ყველა ეს? ნუ თუ გაუგებრობას უნდა მიეწეროს ან და კერძო რაიმე ანგარიშებს, რასაც აქ არავითარი ადგილი არ უნდა ჰქონდეს? ჩვენში ჯერ კიდევ ყველა ისე ვერ არის მომზადებული, რომ პარტიული განხეთქილებები ასწონ-დასწონოს და მსჯავრი დასდოს. ესეც აშკარაა, რომ ზოგიერთები სულ ახლად გამოვიდნენ პატარა თავისუფლების გამოცხადების შემდეგ და ამათ სრულიადაც არ იციან, რომელი პარტია რა გზას ადგია, მხოლოდ დარწმუნებულნი არიან, რომ ისინიც უნდა ჩაებნენ განმათავისუფლებელ მოძრაობაში, ბანი მისცენ მებრძოლთა ფერხულს. ყველა პარტია სცდილობს, ახალი წევრი თავისკენ გადაიყვანოს და ამისათვის ყოველ გვარ საშუალებას ხმარობს, არ ერიდება ლანძღვა-გინებასაც-კი, რასაც აშკარად ვხედავთ მიტინგებსა და კერძო კრებებზე. ასეთი ამბავი მოხდა, მაგალითად, წარსულ კვირას ლაქია-მზარეულების მიტინგზე ნაძალადევში.

გასაოცარი და გასაკვირველია უფრო ასეთი საქციელი იმ მეთაურთაგან, რომელნიც ხალხის წარმომადგენლობას და წინამძღოლობასა ჩემულობენ. როდესაც ხალხი სულითა და გულით სმენადაა გადაქცეული, როდესაც ხალხი ყურებდაცქვეტილია, აცა რას გავიგებთ ჩვენდა სასარგებლოდაო, ამ დროს ყურებს უჭედენ—„ძირს სოციალისტ-რევოლიუციონერი, ძირს სოციალ-დემოკრატი, ძირს სოციალისტ-ფედერალისტიო" და ყველანი-კი საერთოდ გაიძახიან—„ძირს თვითმპყრობელობაო!"

ამხანაგებო! არ არის ამისი დრო; დღეს სულ სხვა დროა, თითო წამიც კი ძვირფასია მებრძოლთათვის. ნუ გავახარებთ ჩვენის მოქმედებით გამხეცებულ მტერს. პირველი საქმე ამ ჟამად, როდესაც საერთო მტრის წინაშე ვდგევართ, პარტიულ განხეთქილებების მოსპობა და მთლად ხალხის პროგრესიულ გზაზედ დაყენება. ნუ ვიზამთ იმას, რომ მტრისათვის ნალესი ხმალი ჩვენ ძმებსა და ამხანაგებზე დავაჩლუნგოთ. ნურც იმას ვიზამთ, რაც არ ეკადრება თავისუფლებისათვის მებრძოლთა კლასს. ერთობა, ამხანაგებო, ერთობა! ცხოვრება გვეპატიჟება ყველას ერთად, ერთ ეკლიან გზაზე. ერთად ამხანაგებო, ერთად მოვთხოვოთ ანგარიში იმათ, ვის მეოხებითაც დაიღვარა უმანკო სისხლი თავისუფლებისათვის მებრძოლ ამხანაგებისა 9 იანვარს, 29 აგვისტოს და 22 ოქტომბერს. ჩავკიდოთ ხელი ხელს და მედგარის იერიშით დავცეთ თავს მეხი, გავანაცარმტვეროთ დაძველებული წესწყობილება და ახალი დემოკრატიული, ხალხის მპყრობელობა ავაშენოთ. და აი, მაშინ მოვთხოვოთ ერთმანეთს ანგარიში და შევუდგეთ პარტიულ ბრძოლას.

პროლეტარი

ახალი ამბავი

✦ **აფიცრების მოთხოვნილება.** ტფილისის გარნიზონის აფიცრებმა დაადგინეს, სთხოვონ საარტილერიო დივიზიის უფროსს გენერალ რილსკის, ნება მიეცეთ კრებები გამართონ და მოილაპარაკონ იმ საკითხების შესახებ, რომელსაც კავშირი აქვს განმაახლებელ მოძრაობასთან.

✦ **სალდათების გაფიცვა.** 13 ნოემბერს გაიფიცნენ ტფილისის საარტილერიო საწყობის სალდათები. სალდათებმა საწყობის უფროსს წარუდგინეს მოთხოვნილებანი საჭმლის და ტანისამოსის გაუმჯობესების და მუშაობის შემცირების შესახებ. საქმე იქამდე მივიდა, რომ მეორე დღეს სხვა პოლკის ერთი როტა სალდათი მოიყვანეს. საწყობის სალდათებმა ალაყაფის კარები დაკეტეს და არ შეუშვეს არც სალდათები და არც გენერალი რილსკი. მხოლოდ მაშინ, როდესაც როტა წაიყვანეს, სალდათებმა რილსკი შეუშვეს. გენერალი დაჰპირდა მოთხოვნილებების შესრულებას.

✦ **კიდევ პროვოკაციები და ხულიგანები.** 17 ნოემბერს პროვოკატორებმა და ხულიგანებმა ქალაქის სხვა და სხვა ნაწილში საზიზღარ ოინებს მიმართეს მშვიდობიან მცხოვრებთა თავზარ-დასაცემად. საღამოს შვიდი საათი იქნებოდა, რომ ამ ვაჟბატონებმა პეტარდა ჩაუგდეს ტრამვაის ვაგონს ლორისმელიქოვის ქუჩაზედ, სასულიერო სემინარიის პირდაპირ. პეტარდა გასქდა და ხმა ქალაქის ყველა ნაწილში გაისმა. ბევრ მაღაზიაში ფანჯრებიც-კი ჩაიმტვრა. თავზარდაცემული ხალხი აქეთ-იქით მიიფანტა. ამავე დროს ვიღაც ჩერქეზულ ტანისამოსში გამოწყობილი ხულიგანი ეტლს მიაქანებდა გოლოვინის პროსპექტზედ; ამ ვაჟბატონმა ორჯელ გაისროლა რევოლვერი ნამესტნიკის სასახლესთან და ორჯერაც „ორიანტის" სასტუმროსთან. ამ საღამოსვე, ასე $7\frac{1}{2}$ ს. იქნებოდა, ამნაირადვე გამოწყობილმა კაცმა შეითან-ბაზარზე ეტლით გაიარა და ჰაერში რამდენჯერმე რევოლვერი დასცალა. ხულიგანი მეტეხის ციხის მახლობლად გადახტა ეტლიდან და სადღაც მიმალა. რამდენჯერმე რევოლვერები დასცალეს აგრეთვე ვორონცოვის ხიდსა და საკომერციო სასწავლებლის მახლობლად. ესენი პოლიციის მე-8 ნაწილში დააპატიმრეს. ყველა ამან ხალხი ძალზე დაფრთხო. ქალაქში ხელად ხმა გავარდა, რომ ყუმბარებს ისვრიან და ხალხს ჟლეტავენო. ამ მიზეზითვე გურულთა სასარგებლოდ გამართულ ქართულ წარმოდგენას ცოტა ხალხი დაესწრო. გუშინ ამ ამბების გამო მოურავის მოადგილეს მცხოვრებთა ერთმა ნაწილმა განცხადება გადასცა. ესენი თხოულობენ ამ სისაძაგლის ჩამდენ ხულიგანთა დაპატიმრებას.

✦ **იაკუტსკიდან დაბრუნებულნი.** „სინ ოტეჩ."-ში დაბეჭდილია სია იმ 55 პოლიტიკურ მოღვაწეთა, რომელნიც გასამართლებულ იქმნენ იაკუტსკში (ციმბირი) მომხდარ პროტესტის გამო და რომელნიც ახლა ამნისტიის ძალით გაუნთავისუფლებიათ. ამათ რიცხვში კავკასიელნიც არიან: ლ. ნ. ჯოხაძე, ი. ი. კოსტალიანცი, გ. ფ. ვარდოიანცი, ო. ი. პოლოსოვი, მ. დ. დობრონენიძე (?), ი. ს. ცენტერაძე და მ. დ. გაბრონიძე.

✦ **ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეთა მიტინგი.** გუშინ, 18 ნოემბერს, ვერაზედ მოხდა ტფ. ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეთა მიტინგი. კრებას განსახილველად წარედგინა შემდეგი წინადადებანი: 1. როგორ მოექცნენ ფოსტა-ტელეგრაფის ოლქის უფროსის თანაშემწეს [illegible] და უფროსს მექანიკოსს კრასოვსკის მათის არა საკადრისის მოქმედებისთვის; 2. როგორ მოექცნენ იმ ამხანაგებს, რომელთაც გაფიცვაში მხარი არ დაუჭირეს; 3. მოხსენება იმის შესახებ, თუ როგორ მოეპყრა პრესსა და საზოგადოება მოხელეთა გაფიცვას; 4. მოხსენება რკინის გზის ტელეგრაფისტთა გაფიცვის შესახებ; 5. დამოკიდებულება ადგილობრივ კავშირისა სრულიად რუსეთის კავშირთან; 6. სრული პოლიტიკური ამნისტია; 7. დამფუძნებელ კრების მოწვევა და სხვა. მიტინგმა საღამოს 6 საათამდე გასტანა. ანგარიშს მიტინგისას სხვალ დავბეჭდავთ.

✦ **ხულიგანების ოინები.** მუხრანის ქუჩაზე არის თავ. მუხრანსკის სახლი (№ 32). ამ სახლში სცხოვრობს ათიოდე ებრაელის, ერთი ქართველის და ერთი რუსის ოჯახი. გუშინ რუსის ოჯახმა ფოსტით ვიღაცისაგან შემდეგი წერილი მიიღო: „ქალბატონო შ... რატომ არ გადადიხართ სხვაგან. მე რუსი ვარ და თქვენთვის კარგი მინდა. თუ თქვენი თავი არ გეცოდებათ, შვილები მაინც შეიცოდეთ. მე თქვენ ქმარს წერილი გავუგზავნე, თქვენ-კი ისევ მანდა სცხოვრობთ. მაგ სახლში ყუმბარა უნდა ისროლონ. ვადას გაძლევთ 20 ნოემბრამდე. მე ვიცი, რომ თქვენი ქმარი მოხუცი კაცია და თავისი თავი არ ენანება. უთუოდ მან თქვენ არა გითხრათ-რა. რაც შეიძლება მალე სხვაგან სადმე გადადით. 17 ოქტომბერი, 1905 წ.".

✦ **ხულიგანები არა სცხრებიან.** 15 ნოემბერს, საღამოს 9 საათზედ, გოგოლის ქუჩაზედ თომა დარჩიაშვილის სასმელების დუქანში 10 შეიარაღებულ ყაზახს შეუძღვნენ მეზობლად მცხოვრები ნიკოლოზ ტურკევიჩი და სხვანი, რომელთაც ბრძანების კილოთი არაყი და საჭმელი მოითხოვეს. დარჩიაშვილი მარტო ღვინით ვაჭრობს და რადგან მედუქნეს საჭმელი და არაყი არა აქვს, შესულთ უშვერის სიტყვებით დაუწყეს ლანძღვა დარჩიაშვილს. მედუქნემ შეატყო, რომ უსიამოვნება მოხდებოდა, გავიდა გარედ და პოლიციაში გაიქცა, ამით ისარგებლეს დაუპატიჟებელმა სტუმრებმა, მოიტაცეს 10 ბოთლი ღვინო, ფულად 10 მან. და წავიდნენ.

✦ **ახალი გუბერნატორი.** პოლკოვნიკი ალფტანგი, რომელიც გორისა და დუშეთის მაზრის დასამშვიდებლად იყო დანიშნული, როგორც გავიგეთ, ინიშნება განჯის გუბერნატორად. იქვე ვიცე-გუბერნატორად ინიშნება ალფტანყის ქართლში მოღვაწეობის დროს კანცელარიის უფროსად მყოფი ორლოვსკი.

✦ **ტფილისის ახალი ვიცე-გუბერნატორი.** ვიცე-გუბერნატორად ინიშნება ნამესტნიკის საგანგებო საქმეთა მოხელე უგანათ. თავ. პ. ა. გრუზინსკი.

✦ **ქართველ პედაგოგთა კრება.** 21 ნოემბრისთვის დანიშნულია ქართველ პედაგოგთა კრება საზოგადოების დასაარსებლად. კრება მოხდება სამეურნეო ბანკის სადგომში, საღამოს 7 საათზე.

✦ **ქართველ ქალთა მიტინგი.** კვირას, 20 ნოემბერს, დილის 10 საათზე, კავკასიის სამეურნეო საზოგადოების სადგომში, ქართველ ქალთა ბიუროს ინიციატორობით, იმართება ქართველ ქალთა მიტინგი. მიტინგმა უნდა მოილაპარაკოს ქართველ ქალთა კავშირის შედგენის შესახებ.

ფელეტონი

საფრანგეთის დიდი რევოლიუცია*)

საკანონმდებლო კრება.

1791 წლის 4 სექტემბერს ლუი მეთექვსმეტე განათავისუფლეს პატიმრის მდგომარეობისაგან. 14 სექტემბერს მეფე საერო კრებაში მივიდა, ერთგულება შეჰფიცა ახალ წესწყობილებას და პატივება ითხოვა. საერო კრებამ აღტაცებულის „მეფეს გაუმარჯოს"-ით გააცილა შემორიგებული ლუი მეთექვსმეტე და ყველა გახარებული იყო, რომ ეს მძიმე საქმე ასე მშვიდობიანად დასრულდა.

საფრანგეთის მეფე ეხლაც სტყუოდა: გარეგნად ერთგულება შეჰფიცა კონსტიტუციას, სიხარულსაც აცხადებდა ხალხის წარმომადგენლებთან შერიგების გამო, მაგრამ გულში კი ისევ ძველი მეფე დარჩა—ძველის წესწყობილების თაყვანის მცემელი და მართლმორწმუნე კათოლიკე. და ეს იყო მიზეზი, რომ ლუი მეთექვსმეტეს დაღუპვა აუცილებელი გახდა ახალ საფრანგეთისათვის.

საერო კრებამ დაამთავრა თავისი საქმე—შეიმუშავა კონსტიტუცია საფრანგეთისათვის და 1791 წელს 30 სექტემბერს დაიშალა, რომ ადგილი დაეთმო ახალ დაწესებულებისათვის, რომელსაც სახელად **საკანონმდებლო კრება** ერქვა.

საერო კრების ღვაწლი დიდი და დიდებულია: მართალია, საერო კრების წევრნი ძველის წესის თანახმად იყვნენ არჩეულნი: ისინი სამ წოდების მიერ იყვნენ არჩეულნი ცალკ-ცალკე, მაგრამ რადგან მესამე წოდების წარმომადგენელნი რაოდენობით დიდათ სჭარბობდნენ დანარჩენებს, არისტოკრატია და სასულიერო წოდება დამარცხდნენ და, თუმცა ნამდვილი დემოკრატიული წესწყობილება არ დამყარებულა, ძველ წესთან შედარებით საფრანგეთის სახელმწიფომ ძირითადი ცვლილება განიცადა: „ადამიანისა და მამულისშვილის უფლებანი" მთავარი საქმეა საერო კრებისა; იგი დაედო საფუძვლად ახალ წესწყობილებას და საფრანგეთი უფლებრივი სახელმწიფო შეიქნა: მეფე, კანონმდებელი და მბრძანებელი, მხოლოდ აღმასრულებელი ორგანო გახდა; კანონმდებლობა ხალხის წარმომადგენელთა ხელში გადავიდა; დაკანონდა თანასწორობა ყველა ფრანგებისა, გაუქმდა წოდება, თავად-აზნაურობის პრივილეგიები საბოლოოდ მოისპო; დაკანონდა წერისა და სიტყვის თავისუფლება; სამართალი ადმინისტრაციას მოშორდა; ხელობა და ვაჭრობა განთავისუფლდა შემბორკველ მზრუნველობისაგან და სხვა.

დიდი და ძირითადი ცვლილება განიცადა საფრანგეთმა, მაგრამ, როგორც ზემოდაც იყო ნათქვამი, დემოკრატიული წესწყობილება არ დამყარებულა: მართალია კანონმდებლობა ხალხის წარმომადგენლების ხელში გადავიდა, მაგრამ რაკი საყოველთაო საარჩევნო უფლება არ იყო შემოღებული, ეს სახალხო წარმომადგენლობა ქონების პატრონთა წარმომადგენლობად გადაიქცა. ამიტომაც პირველი საკანონმდებლო კრება, რომელიც 1791 წლის 1 ოქტომბერს შეიკრიბა, შესდგებოდა ქონების პატრონების, ბურჟუაზიის წარმომადგენელთაგან: ბურჟუაზია ფორმალურადაც და პრაქტიკულადაც გაბატონდა ძველ წესწყობილების ნანგრევებზე. მაგრამ ამ პირველ საკანონმდებლო კრების წმინდა ბურჟუაზიულ ხასიათს ერთმა გარემოებამ შეუშალა ხელი: როცა დეპუტატებს ირჩევდნენ, მეფე გაპარული იყო პარიზიდან და არჩევნებს დაეტყო გავლენა იმ მღელვარებისა, რომელიც ამ გაპარვამ გამოიწვია: კრებაში მოჰყვნენ დემოკრატებიც, რომელნიც მეფეს უნდო თვალით უცქეროდნენ და რესპუბლიკის დაარსებას შეუძლებლად არ სთვლიდნენ.

ყოველ შემთხვევაში არც ამ დემოკრატებს მოუთხოვნიათ პირდაპირ და აშკარად რესპუბლიკის დაარსება: ესენი თანახმანი იყვნენ დროებით გადაედოთ ასეთ მოთხოვნის პირდაპირი წარდგენა საკანონმდებლო კრებისათვის, რომ უკვე შემუშავებული და შემოღებული კონსტიტუცია განემტკიცებინათ. დემოკრატების ასეთ ტაქტიკაზე უეჭველი გავლენა ჰქონდა მარსის ველზე მომხდარ სისხლის ღვრას (17 ივლისი, 1791, ნახე წინა ფელეტონი): დემოკრატების და რესპუბლიკელების რიცხვი ჯერ კიდევ პატარა იყო და ეშინოდათ ამ სისხლის ღვრის განმეორებისა.

თუ პირდაპირ და საჯაროდ არ თხოულობდნენ რესპუბლიკას საკანონმდებლო კრების დემოკრატი წევრები, სამაგიეროთ ყოველ ღონეს ღონობდნენ, რომ მეფე დაემცირებიათ წინაშე ხალხის წარმომადგენლებისა და ხშირად გაუდიოდათ კიდეც: ჯერ კიდევ ხუთ ოქტომბერსავე დაადგენინეს საკანონმდებლო კრებას, რომ მეფეს ჩამოერთმეოდა „უდიდებულესობის" ტიტული და ეწოდათ მისთვის მხოლოდ „ფრანგთა მეფე" და მეფის სელი კრებაში ისეთივე ყოფილიყო, როგორიც იყო კრების თავმჯდომარისა. კრების ასეთი დადგენილება, რასაკვირველია, დიდათ მოეწონათ რესპუბლიკელებს: „როცა ხალხი გაიგებს, რომ მეფე მხოლოდ მოხელეა, რომ მას უბრალოდ „ფრანგთა მეფეს უწოდებდნენ, რომ „უდიდებულესობის" ტიტული მხოლოდ ღმერთსა და ერს ეკუთვნის; როცა ხალხი დაინახავს, რომ საკანონმდებლო კრება ნამდვილად ხმარობს იმ უპირატესობას, რომელიც მინიჭებული აქვს მას ბუნებისა და გონების კანონების მიერ, მეფის ნამდვილ ფასსაც გაიგებს და სიმართლით დაფასებული მეფე საშიშარი არ არის"-ო, სწერს ერთი რესპუბლიკური გაზეთი.

თუ რესპუბლიკელებ შორის დიდი სიხარული გამოიწვია საკანონმდებლო კრების ხსენებულმა დადგენილებამ, მსხვილი ბურჟუაზია მალე მოვიდა გონს და ეს დადგენილება ისევ შეაცვლევინა კრებას. ასეთი რყევა პირველი საკანონმდებლო კრებისა დამახასიათებელია მთელი მის მოქმედებისთვის: ხან დემოკრატიულსა და რესპუბლიკურ გავლენას ექვემდებარება და მეფეს როგორც თავის ხელქვეითს ისე ეპყრობა, ხან ზომიერ ბურჟუაზიის სურვილებს მისდევს, მეფეს ძველის მოწიწებითა და პატივისცემით ექცევა. მეორე შემთხვევაში საკანონმდებლო კრება თავის წევრთა დიდ უმრავლესობის წარმომადგენელი იყო და თუ ხან და ხან დემოკრატიულ გზასაც დაადგებოდა, ამის მიზეზი დემოკრატების ენერგია და იმ უმრავლესობის სისუსტე იყო. ერთის სიტყვით, პირველი საკანონმდებლო კრება სრულიად არ ფიქრობდა მეფობის მოსპობას, პირიქით, იგი გულწრფელად მოწადინებული იყო მეფესთან კარგი განწყობილება ჰქონოდა და არსებული ბურჟუაზიული კონსტიტუცია დაეცვა.

ახლაც მეფე ლუი XVI შეიქნა მიზეზი, რომ ვერ მოხდა ის, რაც საკანონმდებლო კრების უმრავლესობას სურდა, და ეხლაც უმთავრესად რელიგია იყო მიზეზი მეფის გადადგომისა.

ეკლესიისა და სახელმწიფოს ახალი დამოკიდებულება, სასულიერო წოდების სრული დაქვემდებარება სამოქალაქო კანონებისთვის, როგორც ვსთქვით, დიდ წინააღმდეგობას იწვევდა მორწმუნე კათოლიკეთა და ძველ წესწყობილების მომხრეთაგან. სასულიერო პირები არ ემორჩილებოდნენ ახალ კანონს, უარზე იდგნენ ერთგულება შეეფიცათ კონსტიტუციისათვის და სცდილობდნენ ხალხი აეჯანყებინათ ახალ მთავრობის წინააღმდეგ. გამდგარ სამღვდელოების წინააღმდეგ საკანონმდებლო კრებამ სხვა ღონისძიებათა შორის შემდეგი დადგენილება მოახდინა: თუ რვა დღის განმავლობაში (29 ნოემბრიდან) სასულიერო პირნი ერთგულებას არ შეჰფიცავენ „ერს, კანონსა და მეფეს", სახელმწიფო ჯამაგირს მოუსპობს მათ და საეჭვო პირებად იქნებიან მიჩნეულიო. მეფემ არ და-

---

*) იხ. „ცნ. ფურც." № 2942

◆ **სოც.-დემოკრატების მიტინგი.** ხვალ, 20 ნოემბერს, დილის 10 საათზე ნაძალადევში მოხდება სოც.-დემოკრატიის ორგანიზაციის სახალხო მიტინგი. განსახილველი საგნები: 1. მოძრაობა სალდათებს შორის; 2. კავშირი, თავისუფლება და ფოსტა-ტელეგრაფის უწყება; 3. ხოცვა-ჟლეტის პროვოკაცია.

◆ **დურგლების მიტინგი.** 21 ნოემბრისთვის ნაძალადევში დანიშნულია ტფილისელ დურგალთა მიტინგი კავშირის შესადგენად.

◆ **სახლის პატრონთა მიტინგი.** კვირას, 20 ნოემბერს, დილის 10 საათისათვის, დიდუბეში დანიშნულია მიტინგი ტფ. ყველა სახლის პატრონებისა.

◆ **ფონდის ბიუროსაგან.** განმათავისუფლებელ მოძრაობაში დაზარალებულთა ფონდის ბიუროს აღმასრულებელ კომიტეტის წევრთ სთხოვენ მობრძანდნენ სხდომაზე კვირას, საღამოს 7 საათზე, „ცნ. ფურცლის“ რედაქციაში.

◆ **უდეპეშობა.** ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეთა გაფიცვის გამო ეს მესამე დღეა რუსეთის დეპეშები აღარ მოსულა.

◆ **ხელზე მოსამსახურეთა მიტინგი.** რესტორანებისა, სასტუმროების და კერძო სახლების ხელზე მოსამსახურეთა და მზარეულთა მიტინგი გაიმართა 17 ნოემბერს, ნაძალადევის მახლობლად, მინდორში. დაესწრო ათასამდე კაცი. მიტინგი დაიწყო ნაშუადღევის სამ საათზედ და დასრულდა საღამოს 7 საათზედ. მიტინგმა აარჩია კავშირის საბჭოს წევრები—25 კაცი. საბჭოს დაევალა კავშირის საქმეების წარმოება. საბჭო შეიმუშავებს სამოქმედო პროგრამას და წესდების პროექტს და შემდეგ მიტინგს წარუდგენს. არჩევნების შემდეგ სოციალ-დემოკრატების და ფედერალისტების წარმომადგენელთ გააცნეს მიტინგს თავიანთ პარტიათა პროგრამები.

◆ **განთავისუფლებული აფიცერი.** უკვე ვწერდით, რომ მეტეხის ციხიდან გაანთავისუფლეს პოლიტიკურ საქმისთვის დაპატიმრებული ბაშკადეკლიარის ბატალიონის აფიცერი ვლ. სულაქველიძე. ის ბატალიონი, რომელშიაც ბ-ნი სულაქველიძე მსახურებდა, თელავში იდგა. სულაქველიძე და იმისი ამხანაგი რახმანინი ძალიან კარგად და ზრდილობიანად ექცეოდნენ ჯარის-კაცებს. ვიღაცას დაუსმენია უფროსთან, რომ ეს ორი ახალგაზდა აფიცერი პოლიტიკურად კეთილ საიმედონი არ არიანო. ხელად გაუჩხრეკიათ აფიცრები და თუმცა ვერაფერი აღმოუჩინეს, მაინც დაუპატიმრებიათ. ორივენი მეტეხის ციხეში ჩაუსვამთ. 6 თვის შემდეგ, 17 ოქტომბრის მანიფესტის ძალით, ორივე გაუნთავისუფლებიათ. ბ-ნი სულაქველიძე პასუხის გებაშიაც არის მიცემული იმის გამო, რომ იგი შორეულ აღმოსავლეთს ომში არ წავიდა, თუმცა მთავრობისაგან ბრძანება მიიღო დაუყოვნებლივ წასულიყო. ეს საქმე უკვე გაირჩა, სულაქველიძე გაამართლეს, მაგრამ, ბრალმდებლის პროტესტის გამო, საქმე ხელ-ახლა დანიშნეს 24 ნოემბრისათვის.

◆ **თავის დაცვა.** 16 ნოემბერს ტფ. საკრებულოს საზაფხულო სადგომში მოხდა მე-9 საპოლიციო ნაწილის სახლის პატრონთა კრება. კრებას სამასამდე სახლის პატრონი დაესწრო. კრებამ განიხილა საკითხი თავის დაცვის ორგანიზაციის შესახებ. ორატორებმა განაცხადეს, რომ ხულიგანები თავისას არ იშლიან და საჭიროა მილიცია შევადგინოთ მათ საწინააღმდეგოთაო. კრებამ აარჩია 15 კაცი, შეადგინა კომიტეტი და დაავალა ამ საქმის მოწყობა. ფული უნდა გაიღონ როგორც სახლის პატრონებმა, ისე მდგმურებმა.

◆ **ოპერა გურულთა სასარგებლოთ.** ორშაბათისთვის დანიშნული ქართული ოპერა გურულთა სასარგებლოდ გადაიდო სამშაბათ, 22 ნოემბრისათვის. ოპერას მართავს ქართველ მომღერალ-მემუსიკეთა ამხანაგობა.

◆ **შეგირდების გაფიცვა.** 17 ნოემბრიდან გაიფიცნენ თამამშევის ქარვასლის შეგირდები! გაფიცულთ თავიანთი მოთხოვნები წარუდგინეს ვაჭრებს. შეგირდები თხოულობენ: ჯამაგირის მომატებას—ვისაც მანეთზე ნაკლები აქვს, უნდა მიემატოს ათი შაური, ვისაც მეტი—ერთი მანეთი (ამ მომატებას ვაჭრები ამას წინად დაჰპირდნენ, პირველ გაფიცვის დროს, მაგრამ დანაპირევი არ აასრულეს): პურის ფულს—15—20 კაპეიკს; ლანძღვა-გინების მოსპობას; კვირაობით მუშაობისაგან განთავისუფლებას ალები შეგირდებს, დასვენების ნაცვლად, კვირაობით შინ ამუშავებენ: სახლს აგვევინებენ, ჭურჭელს აწმენდინებენ და სხვა); ოქტომბრის გაფიცვის დროს დათხოვნილთა უკან მიღებას; ერთის საათით განთავისუფლებას პურის საჭმელად და სხვ.

◆ **სომხური სასულიერო ჟურნალი.** დეკანოზმა ეზნიკ-ერზინკიანცმა შუამდგომლობა აღძრა, ნება მიეცეს 1906 წლიდან გამოსცეს ტფილისში სასულიერო-ზნეობრივი და საპედაგოგიო ყოველ-კვირეული ჟურნალი სომხურს ენაზე. ჟურნალს სახელად „ოვინი“ (მწყემსი) ერქმევა.

◆ **რესტორანის პატრონთა მიტინგი.** ხვალ, 20 ნოემბერს, ნაშუადღევის 11 საათზე, ნაძალადევში მოხდება რესტორანების, სასმელების და სასმელების დუქნების პატრონთა მიტინგი.

◆ **რკინის გზის მოსამსახურეთა კრება.** რკინის გზის მოსამსახურეთა საერთო კრების მიერ არჩეულმა ბიურომ დანიშნა ახალი კრება მოსამსახურეებისა. კრება მოხდება 23 ნოემბერს, საღამოს 5 საათზე სახელოსნოების საჩაის სადგომში. კრებამ უნდა განიხილოს კავშირის ბიუროს პროგრამმა.

◆ **სამსახურიდან გადადგომა.** თავჯდომარე სამრევლო სკოლების საეპარქიო საბჭოსი მღ. ივანე ბუტირსკი ამ თანამდებობიდან გადადგა. ბუტირსკი სასულიერო სასწავლებლის უფროსად არის. განწესების დღიდან მან ისეთი რეჟიმი შექმნა ამ სასწავლებელში, რომ უკიდურეს ბიუროკრატიულ დაწესებულებაშიაც ვერა ნახავთ ასეთ რეჟიმს...

◆ **ახალი ტაქტიკა პატრიოტებისა.** პატრიოტული საზოგადოება, როგორც გადმოგვცეს, ამ ჟამად ავრცელებს მუშა ხალხში განსაკუთრებულ ბილეთებს, რომელზედაც აწერია თურმე „წევრი პატრიოტულ საზოგადოებისა“. ამ ბილეთების დამრიგებელნი არწმუნებენ თურმე ხალხს, რომ ამ ბილეთის მქონეს ვერავინ ხელს ვერ ახლებსო.

◆ **კიდევ ბოროტი მოძღვარი.** დედათა მეორე გიმნაზიის მოწაფე ქალებმა მოსთხოვეს ვაჟთა გიმნაზიის მეორე გიმნაზიელებს იმ დადგენილების პირი, რომელიც მ. პეტრე ბელოვიდოვს შეეხება, როგორც მავნე მიმართულების კაცს. ეს დადგენილებანი, სწერენ მოწაფენი, გვესაჭიროება იმისათვის, რომ ამ სახითვე გვსურს დავსაჯოთ მაგისი მსგავსი ჩვენი მოძღვარი მ. ალ. რაზუმოვსკი, რომელიც მისიონერის ეკკლესიიდან გამოტანილ აზრებით გვკვებავსო.

◆ **ჯარის გასვლის საქმე.** ტფილისის სამხედრო ბეგრის საკრებულოში გასაყვან 253 კაციდან ამ ჟამად 160 კაცია მხოლოდ მიღებული სამსახურში. სულ არ გამოცხადდა გასასინჯდა 179 კაცი. ამის გამო გუშინ საკრებულომ პოლიცმეისტერს გაუგზავნა იმათი სია, რომელნიც არ გამოცხადდნენ.

◆ **ოსების მიტინგის დადგენილება.** ჩვენი მკითხველები უკვე იცნობენ დიდებულ ყულუმბეგოვს, რომელმაც ნამესტნიკს აცნობა, ოსების რაზმს შევადგენ და „შინაურ მტრების“ დაწყნარებაში დაგეხმარებითო. ამის გამო მომხდარა ოსების მიტინგი. მიტინგმა დაადგინა გამოაცხადოს, რომ ოსები სხვებთან ერთად მონაწილეობას იღებენ განმათავისუფლებელ მოძრაობაში და არაფერი საერთო არა აქვთ ისეთ ვაჟბატონებთან, როგორიც ყულუმბეგოვიაო. მიტინგმა ამასთან ყულუმბეგოვს ზიზღი და ბოიკოტი გამოუცხადა.

◆ **ლექცია.** დღეს, 19 ნოემბერს, სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების სადგომში წაიკითხავენ ლექციას ამ თემაზე: „სახელმწიფო საბჭო და სოციალ-დემოკრატიულ პარტიის ტაქტიკა“.

◆ სიღნაღის მაზრის ჯიმითის სოფლის საზოგადოებას შუამდგომლობა აღუძრავს, მიეცეს სესხად სასოფლო-სამეურნეო თანხიდან 1600 მანეთი საზოგადო წისქვილის გასაკეთებლად.

◆ ბორჩალოს მაზრის სოფ. დიდ მუღანლოს თათრებს შუამდგომლობა აღუძრავთ მიეცეთ სახელმწიფო საძოვარი ადგილები ტფილისის მაზრაში. სახელმწიფო მამულების გამგეობას, როგორც გავიგეთ, ეს თხოვნა უყურადღებოდ დაუტოვებია საძოვრების უქონლობის გამო.

◆ ტფილისის ქალაქის გამგეობამ დაადგინა დაგირაოს 100,000 მან. 4% რენტის მოწმობა, რომ ამ ფულით გაისტუმროს აუცილებელი ხარჯი.

◆ პოლიციის მე-6 ნაწილში, სუმბათოვის ქუჩაზედ, ჩხუბი მოუვიდათ ჯარის კაცებსა და გარეშე კაცებს. ჩხუბის დროს მოქალაქეს ოჰანეზ ზურაბოვს ფეხი მოსტეხეს. მინგრელთა პოლკის სალდათმა ივანე შივილოვმა დანით მუცელში მძიმედ დასჭრა სიღნაღის მაზრის მცხოვრები გიორგი უთიაშვილი.

სოხუმელთა მოთხოვნილებანი

სოხუმის ოლქის მცხოვრებთ შემდეგი მოთხოვნილებანი წარმოუდგენიათ ნამესტნიკისთვის.

1. ამ ოლქის მთლიანად დატოვება თავის ისტორიულ საზღვრებში, როგორც განსაკუთრებული დამოუკიდებელი კუთხე ადმინისტრატიულ მმართველობის მხრივ—და თუ ასეთი დატოვება არ მოხერხდა, მაშინ იგი შეუერთდეს ჩერნომორსკის გუბერნიას, ისე კი, რომ ადმინისტრატიულ ცენტრად სოხუმი იყოს.

2. ამ ოლქში მცხოვრები აფხაზები აღარ მოიხსენონ მეტად საძრახის და დაუმსახურებელ სახელით: „დამნაშავენი“, როგორც ამ ჟამად სჩადიან ადმინისტრაციის მოხელენი მიწერ-მოწერის და მათთან საუბრის დროს.

3. ამ ოლქის მცხოვრებთაც მიენიჭოთ ის უფლებანი, რაც სამურზაყანოს ოლქის მცხოვრებთა აქვთ; ოლქის უმიწა-წყლო მკვიდრთ ეხლავ დაურიგდეთ მიწები; ის მცხოვრებნი ამ ოლქისა, რუსის ქვეშევრდომნი, რომელნიც არა ნაკლებ 7 წლისა დასახლებულან და მფლობელობენ ამა თუ იმ მიწით, ეხლავ მიეწერნენ ამა თუ იმ საზოგადოებას და ამ მიწითაც მხოლოდ მათ და მათ შთამომავლობას შეეძლოთ სარგებლობა და არა სხვა ვისმე; მეგრელები, რომელნიც ამ ოლქში სცხოვრობენ ნაყიდ მიწებზე, ჩაირიცხნენ იმ საზოგადოებებში, სადაც ამ ჟამად სცხოვრობენ და ამოიშალნენ იმ საზოგადოებებიდან, საიდანაც მოსულნი არიან.

4. უმაღლესად ნება დართონ დაბრუნდნენ ის აფხაზები, რომელნიც 1877—1878 წ. წ. ოსმალეთში გადასახლდნენ და ამ ჟამად დაბრუნება სურთ. ამათ უნდა დაუბრუნდეთ სასახლკაროდ სახელმწიფო მიწები.

5. უსასყიდლოდ დაეთმოს ხალხს აქაური სახელმწიფო საზამთრო და საზაფხულო საძოვარი ადგილები.

6. ეხლავ გაუქმებულ იქნას კავკასიის საპოლიციო დაჰაჯი, რადგან მას ხალხისთვის არავითარი სარგებლობა, ზარალის მეტი, არა მოაქვს-რა. ამის ნაცვლად თავის დასაცველად ადგილობრივ მცხოვრებთაგან შესდგეს რაზმი.

7. ეხლავ გაიხსნას საფოსტო გზა გაგრასა და ზუგდიდს შუა, და განთავისუფლებულ იქნას ხალხი ფოსტის ცხენების შენახვისაგან.

8. ეხლავ შემოღებულ იქნას საერო, უფასო და სავალდებულო სწავლება.

9. ყველა სტიპენდია სტავროპოლის ვაჟთა გიმნაზიიდან განთავისუფლების შემდეგ გადმოტანილ იქმნას სოხუმის რეალურ სასწავლებელში და თვით სტიპენდიების რიცხვი გამრავლდეს.

10. ყველა ამ ოლქში არსებულ სასწავლებელში სავალდებულო გახდეს სწავლება ქართულ ენისა, ხოლო ვისაც სურს, აფხაზურისა და მაჰმადიან—აბხაზებისათვის—არაბულ ენებისა.

11. უმაღლეს სასწავლებლებში ამ ოლქის მცხოვრებთათვის დაარსდეს სტიპენდიები.

12. სოხუმის სამთო სკოლა ეხლავე გადაკეთდეს საშუალო სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლად მოსამზადებელ განყოფილებით.

13. სამკურნალო ნაწილი კარგად მოეწყოს, დაარსდეს ქსენონები და საავადმყოფოები და სხვა.

14. სოხუმის ოლქის ჯარის-კაცთ ეხლავ მიეცეთ ნება კავკასიაში მოიხადონ ბეგარა და არა სხვაგან სადმე.

15. ეხლავ შემოღებულ იქმნას ნაფიც მსაჯულთა სასამართლო და ინსტიტუტი ამორჩეულ მომრიგებელ მოსამართლეებისა.

16 ხალხს მიეცეს უფლება თვითონ აირჩიოს სასულიერო პირი, როგორც მართლ-მადიდებელ, ისე მაჰმადიანურ მოძღვრებისა.

17. ყველა სამსახურში, თუ განათლების ცენზი უფლებას აძლევს, ადგილი დაეთმოს ადგილობრივ მკვიდრს.

მიტინგი

ექიმებისა, ფერშლებისა, ფარმაცევტებისა, ბებია ქალებისა და ბეითლებისა.

16 ნოემბერს კავკასიის სამკურნალო საზოგადოების სადგომში მოხდა ექიმებისა, ფერშლებისა და სხვათა მიტინგი. ამას წინად სამკურნალო საზოგადოებამ კომისიას მიანდო კავშირის შესახებ მოხსენების შედგენა. ამ კომისიის თავმჯდომარემ ექ. ხატისოვმა გააცნო კრებას კომისიის მოხსენება. კომისიის აზრით, უნდა შესდგეს კავშირი, რომელსაც აზრად ექნება პროგრესიულ ძალებთან ერთად პოლიტიკურ თავისუფლების მოპოვება და დემოკრატიულ თვითმმართველობის დამყარება ამასთან კავშირმა თავის წევრთა მდგომარეობის გაუმჯობესებისთვისაც უნდა იზრუნოს. კავშირმა უნდა განახორციელოს თავისუფლება სიტყვისა, წერისა, კრებისა, კავშირისა, ხელშეუხებლობა პიროვნებისა და საცხოვრებელ სახლისა. უნდა მოისპოს სიკვდილით სასჯელი და სხვა. კავშირმა მფარველობა უნდა გაუწიოს თავის წევრებს, თუ მთავრობა ვისმეს დაითხოვს.

კომისიის მოხსენების გაცნობის შემდეგ ექ. ხატისოვმა მიტინგს განუცხადა, რომ დღევანდელმა მიტინგმა უნდა გადასწყვიტოს სამი საკითხი: 1. კავშირის შედგენის საჭიროება; 2. ამ კავშირის სახელმძღვანელოთ ძირითად პრინციპების შემუშავება და 3. კავშირის ბიუროს არჩევა. ამის შემდეგ ხატისოვმა წინადადება მისცა მიტინგს, თავმჯდომარე აერჩია და აღნიშნულ საკითხების განხილვას შესდგომოდა. თავმჯდომარედ არჩეულ იქნა იგი, ა. ხატისოვი.

ექიმმა სობოლევსკიმ მოიწონა კავშირის დაარსების აზრი, მხოლოდ განაცხადა, პირველად უნდა ის გამოვარკვიოთ, თუ როგორ პლატფორმას აირჩევს კავშირი. თუ კავშირმა მონარქისტებისა და სხვა რეაქციულ ძალთა პლატფორმა აირჩია, მე ასეთს კავშირში არ შევალ. ჩვენმა კავშირმა უნდა მიიღოს პლატფორმა რევოლიუციონურ ორგანიზაციებისა და მოითხოვოს დამფუძნებელ კრების მოწვევა. კავშირი პროფესიონალური იქნება, მაგრამ ამ ჟამად მთელი თავისი გულის ყური პოლიტიკურ თავისუფლების მოპოვებას უნდა მიაპყროსო.

შემდეგ ილაპარაკეს ფერშლებმა. მათ განაცხადეს, ჩვენ პროლეტარები ვართ, მუდამ ექიმების ბრძანების აღმასრულებელნი, და ბურჟუა ექიმებთან კავშირი არ შეიძლებაო. ფერშლების აზრით, პროფესიონალურ კავშირის შედგენა არ მოხერხდება, რადგან ინტერესები სხვა და სხვაა. კავშირი შეიძლება პოლიტიკურ ნიადაგზე და ისიც მხოლოდ მაშინ, როცა გამოირკვევა ექიმების პლატფორმაო.

სიტყვები წარმოსთქვეს აგრეთვე ფარმაცევტებმა. ამათ სთქვეს, ჩვენ კავშირი უკვე შევადგინეთ, სხვებთან ერთად ცოტაოდენი თავისუფლება მოვიპოვეთ და თქვენ ეხლა გამოიღვიძეთო. ექიმმა მარკოვიჩმა უსაყვედურა ფერშლებსა და ბებია ქალებს, აქ ანგარიშების გასწორების დრო არ არის; თუ იჩაგრებოდით, ეს არსებულ რეჟიმის ბრალი იყო; ეხლა ჩვენ გვინდა ასეთი დამოკიდებულება მოვსპოთ და მოქალაქობრივი თანასწორობა დავამყაროთო.

ბოლოს მიტინგმა საჭიროდ სცნო კავშირის დაარსება, ხოლო ის საკითხი, თუ რამდენად მოსახერხებელია კავშირი ექიმებისა, ფარმაცევტებისა, მეაფთიაქეებისა და ფერშლებისა, გამოურკვეველი და გადაუწყვეტელი დარჩა. ამიტომ კრებამ დაადგინა, აირჩიოს ყველა პროფესიიდან თითო წარმომადგენელი და საზოგადოების მიერ არჩეულ კომისიასთან ერთად შეიმუშაონ პროგრამა შემდეგს მიტინგზე განსახილველ საგნებისა. შემდეგი მიტინგი დანიშნულია 21 ნოემბრისათვის.

თეატრი და მუსიკა

ქართული წარმოდგენა. „მეზობლები“, სურათები 4 მოქმედებად ტრ. რამიშვილისა. 17 ნოემბერი). ქართული დრამატიული მწერლობა ჯერ კიდევ სულის ჩამდგმელს შემოქმედებითს ნიჭს დაეძებს. საზოგადოების ინტერესი სცენისადმი თვალსაჩინოდ გაიზარდა, თეატრს შედარებით ბლომად აწყდება ხალხი. საზოგადოება გულის ფანცქალით ადევნებს თვალს და ყურს მსახიობების მოქმედებას, სიტყვებს და მგზნებარე გულისყურით ეძებს ახალს აზრს, ახალს ტიპს, ახალ დრამატიულ მდგომარეობას, ახალს სულისკვეთებას. საზოგადოებას სწყურიან ახალი ხელოვნება და სჯერა კიდეც, რომ დღეს-ხვალ ქართული სცენა დააკმაყოფილებს იმის მოთხოვნილებას... მაგრამ ჯერ-ჯერობით ამაოდ სცდილობს იგი, ჩვენ დრამატიულ მწერლების კალამს ღრმად დაასურათებინოს ჩვენი დრო, ღრმად დაახატვინოს ეხლანდელ ცხოვრების აჩქარებული მაჯის ცემა და ცხოველ-მყოფელი მისწრაფება საკაცობრიო იდეალებისთვის ბრძოლისკენ...

გულნაკლული, გულდაჩაგრული ვუცქეროდით გუშინ საღამოს იმ ღრმა კონტრასტს, რომელსაც წარმოადგენდა ერთის მხრივ სათეატრო დარბაზი და მეორის მხრივ სცენა. სცენაზე თითქოს რაღაც ახალი, რაღაც თანამედროვე იდეალებისთვის მებრძოლნი და მათი მოწინააღმდეგენი იდგნენ. დარბაზი გასაოცარის ინტერესით ადევნებდა

მტკიცა კრების ასეთი დადგენილება და ამ გვარად ლუი XVI-მ მფარველობა გაუწია ახალ კონსტიტუციის შეურიგებელ მტრებს. მეფემ არ დაამტკიცა კრების მეორე დადგენილებაც, რომლის ძალით სიკვდილით უნდა დასჯილიყვნენ ყველა ის თავად-აზნაურნი, რომელნიც განსაზღვრულ ვადაზე სამშობლოში არ დაბრუნდებოდნენ და თავს არ დაანებებდნენ შეთქმულობათა გამართვას საფრანგეთის წინააღმდეგ. ლუი XVI-ეს გაბედულება უფრო შორსაც წავიდა: საიდუმლო წერილი მისწერა პრუსიის მეფეს—საუკეთესო საშუალება რევოლიუციონერების შესაშინებლადა და „სასურველ წყობილების აღსადგენად ევროპის მეფეთა შეიარაღებული კონგრესი არისო. ხალხს რომ ეს ამბავი დროზე გაეგო, 1792 წლის 10 აგვისტომდე არ დაალოდა ლუი XVI-ეს მეფობას და უფრო ადრე ჩამოაგდებდა ტახტიდან; მაგრამ მეფის ეს ახალი პოლიტი არ იცოდნენ და უკიდურეს ღონისძიებისათვისაც არ მიუმართავთ ჯერჯერობით.

ამასობაში ევროპის გვირგვინოსნებს დიდი მოლაპარაკება ჰქონდათ გამართული საფრანგეთის საქმეების გამო: ლუი მეთექვსმეტეს საქმე ჩვენი საქმე არ არის, დღეს საფრანგეთის მეფეს აუჯანყდა ხალხი, ხვალ ჩვენ გვიჯანყდებიან, თუ ენერგიული ღონისძიებანი არ ვიხმარეთ, საფრანგეთის ხალხი სასტიკად არ დავსაჯეთ და კანონიერ, ღვთისაგან მირონცხებულ მეფეს არ დავუმორჩილეთო. მეფეების ეს მოლაპარაკება და განზრახვები და გადახვეწილ თავად-აზნაურობის ინტრიგები პარიზში კარგად იცოდნენ და გულ-ხელ-დაკრეფილი არ იყვნენ უცხოელების შემოსევის მოლოდინში: მტარვალი მეფენი უკავშირდებიან ერთმანეთს, რომ მოპოვებული თავისუფლება წაგვართვან და მეფის ბორკილები ისევ გაგვიყარონო, ჩვენც შევუერთდეთ დაჩაგრულ ხალხებს, ავუხილოთ მათ თვალი, თავისუფლება ვუქადაგოთ, ძმობისა და ერთობის გემო გავაცნოთ და განკითხვის დღეც დაუდგებათ მტარვალებსო, გატაცებით მჭევრმეტყველობდნენ საფრანგეთის აღგზნებული მამულიშვილები. ომი ყველას სწყუროდა ამ დროს: მეფესაც, და თავისუფლების და მამულის მოტრფიალეთაც, რომელნიც იმედოვნებდნენ თავისუფლების საბოლოო განმტკიცებას იარაღით ხელში. ერთი კაცი იყო მხოლოდ ომის წინააღმდეგი—რობესპიესი, შემდეგ რომ მთავარი ხელმძღვანელი გახდა რევოლიუციისა: ომი ხეირს არ დაგვაყრის; დავმარცხდებით თუ გავიმარჯვებთ, თავისუფლებას ბოლოს მაინც დავკარგავთო, ამტკიცებდა შორს გამჭვრეტი რევოლიუციონერი, და როგორც დავინახავთ, რობერსპიერის წინასწარმეტყველება გამართლდა: თავისუფლებისათვის დაწყებულ ომიანობიდან ნაპოლეონის იმპერია დაიბადა.

რაკი ომი აუცილებელი იყო, მომზადებაც საჭირო იყო ომიანობისათვის, მომზადება არა მარტო ტეხნიკური (ჯარისა და სურსათისა), არამედ პოლიტიკურიც: მეფე და სასახლე საეჭვონი იყვნენ, საეჭვონი იყვნენ მეფის მინისტრებიც. საკანონმდებლო კრებამ შეაშინა მეფე და ახალი მინისტრები დაანიშვნინა. როცა ძველ მინისტრების გადაყენებაზე იყო ლიპარაკი კრებაზე, დეპუტატმა ვერნიომ, სხვათა შორის, სთქვა: „ამ ფანჯრიდან მოსჩანს სასახლე, სადაც ცბიერი მრჩეველები გზას უბნევენ მეფეს... საშინელება და შიშის ზარი ხშირად გამოსულა ამ სახლიდან; კანონის სახელით ეხლა უკანვე უნდა დაბრუნდეს. ვინც იქ ცხოვრობს, კარგად უნდა იცოდნენ, რომ მხოლოდ მეფეა ხელ-შეუხებელი და ვერც ერთი დამნაშავე, ვინც უნდა იყოს იგი, ვერ ასცდება მახვილს!“ ვერნიოს პირდაპირ დედოფალი მარია ანტუანეტა ჰყავდა სახეში, რადგან დედოფალი იყო სული და გული რევოლიუციის მოსასპობად მიმართულ შეთქმულებისა. რასაკვირველია, ვერნიოსებური სიტყვები პატივსა და სახელს ვერ შეჰმატებდა სამეფო სახელს ხალხის თვალში.

ლუი მეთექვსმეტე იძულებული გახდა მინისტრებად აეყვანა საკანონმდებლო კრების მიერ ნდობით მოსილი პირები, როგორც მაგალითად როლანი იყო, თუმცა მინისტრებ შორის დიუმურიეც იყო, კაცი ნიჭიერი, მაგრამ დიდი ინტრიგანი და უპრინციპო, მხოლოდ თავის პირად ინტერესების მიმდევარი.

ახალი სამინისტრო მოწიწებითა და მორიდებით აღარ ითმენდა ევროპის გვირგვინოსნების საფრანგეთის საქმეებში ჩარევასა და 1792 წლის 20 აპრილს ფორმალურად ომი გამოუცხადეს ავსტრიის იმპერატორს.

პირველი შეტაკებები ფრანგების უცხოელ ჯარებთან ფრანგების დამარცხებით გათავდა და ხალხი ყველგან ღალატს ხედავდა: თუ მტერი იმარჯვებს, ეს იმიტომ, რომ შინ გამცემლები გვყავს, რომელნიც უცხოელებს მხარს აძლევენო. საკანონმდებლო კრებაც გაიტაცა ხალხის ამ სულიერმა განწყობილებამ და სასტიკი ღონისძიებანიც მიიღო: გადასახლება ყველა იმ სასულიერო პირებისა, რომელთაც კონსტიტუცია არ შეჰფიცეს, მეფის გვარდიის მოსპობა და 20 ათას ჯარის კაცის ბანაკება პარიზთან. მეფემ არ დაამტკიცა არც ერთი დადგენილება და მინისტრებიც დაითხოვა. პარიზელებიც აღელდნენ, დაბალი ხალხი ამოძრავდა და 20 ივნისს გაიმართა დიდი მანიფესტაცია, რომელიც მეფის სრულის დამცირებით გათავდა.

ხალხი დაიძრა სენტ-ანტუანის უბნიდან და (პარიზის განაპირა უბანია) ჯერ საკანონმდებლო კრებაში მივიდნენ პარიზელები და შემდეგ სასახლეს მიჰმართეს. სასახლის გარე კარები მალე გაიღო, შიგნითი კარები კი მაგრა დაკეტილი დახვდათ. მაგრამ რაკი დაინახეს, რომ წინააღმდეგობის გაწევა შეუძლებელი იყო; ლუი მეთექვსმეტემ თვითონ გააღებინა კარები, სასახლის დარბაზი ხალხით აივსო და მეფე შიგ შუა გულში მოჰყვა. საკვირველია, რომ ლუი მეთექვსმეტემ, რომელიც ასე სუსტი იყო საზოგადოდ, ასეთ მომენტის დროს დიდი სიმტკიცე გამოიჩინა: დამშვიდებული ისმენდა ხალხის ყვირილს, მოსწრებულ პასუხებს იძლეოდა და როცა შეატყო, რომ მისი სიტყვები არ ისმოდა დიდ ხმაურობაში, წითელი ქუდი (რევოლიუციის ნიშანი) გამოართვა ერთ ახლო მდგომთაგანს და თავზე დაიხურა; შემდეგ ღვინო მოატანინა და ხალხის სადღეგრძელო დალია. გულუბრყვილო და ძველის დროიდან მეფობას შეჩვეული ხალხი ალტაცებაში მოვიდა და მშვიდობიანად დაიშალა.

20 ივნისის ამბავი არ ყოფილა რესპუბლიკური დემონსტრაცია, ხალხს არ მოუთხოვნია მეფის გადაყენება, მაგრამ ეს დღე მაინც ღირსშესანიშნავია რევოლიუციის ისტორიაში: სცენაზე გამოვიდა დაბალი ხალხი, პროლეტარიატი, თავის ძალის შემგნები. ბურჟუაზიაც იმიტომ შეშინდა ასე 20 ივნისის დემონსტრაციით და ყოველი ღონე იღონა, რომ ამ დემონსტრაციის შთაბეჭდილება და მნიშვნელობა შეემცირებინა. საკანონმდებლო კრებამ გაჰკიცხა მანიფესტანტების მოქმედება და შეურიგდა მეფეს. მაგრამ საფრანგეთის მეფობის ხსნა მაინც შეუძლებელი შეიქნა. ევროპის გვირგვინოსნები 20 ივნისის ამბების გაგების შემდეგ უფრო მეტის ენერგიით შეუდგნენ ომის საქმეს, რომ ლუი მეთექვსმეტეს უფლებანი აღედგინათ და გაბრაზებულმა ფრანგებმა საპასუხოდ სრულიად მოსპეს სამეფო ტახტი.

საფრანგეთ-ევროპის ომიანობის დაწყება ახალი ხანაა საფრანგეთის დიდ რევოლიუციის ისტორიაში, განსაკუთრებით რესპუბლიკურ პარტიის ისტორიაში: ა) ომი იყო, რომ რესპუბლიკელებს ჩაუგდო ხელში სახელმწიფოს ხელმძღვანელობა; ბ) რესპუბლიკის დაღუპვის მიზეზიც აქ იმარხება: იგი დაარსდა ომიანობის დროს და ომიანობის მიზეზით; რესპუბლიკა კი თავის თავად უთუოდ მშვიდობიანობაზე უნდა იყოს დამყარებული რაკი ეს ასეა, ბ) ომიც სამხედრო დიქტატურით, ნაპოლეონის იმპერიის დაარსებით უნდა გათავებულიყო.

ვ. ლ—ძე

თვალს მათს ბრძოლას, სულგანაბული ელოდდა, აბა როდის და რით გამოიხატება გმირების პსიხიური აგებულობა, როდის გამოირკვევა ბრძოლის რეალური ნიადაგი და როგორ ჩაიხლართება თვით ეს ბრძოლაო,—ამ აზრით გამსჭვალული დარბაზი თითქოს ორივე ხელს სცენისაკენ გაიწვდიდა მასთან სულიერად შესაკავშირებლად, მაგრამ სცენა უფრო და უფრო უკან იწევდა და საზოგადოებას ხელიდან უსხლტებოდა...

„მეზობლები“—მარშანიძეები და მენაბდიშვილები—სასიკვდილ-სასიცოცხლოდ ებრძვიან ერთმანეთს, როგორც ხალხის მტრები და ხალხის კეთილის მყოფელნი. ეს აზრი სცენების პირველ მოქმედებიდანვე სჩანს და მაყურებელს ბუნებრივად ებადება სურვილი, ერთის მხრივ რეალურად და კონკრეტულად გამორკვეულ იქმნას ბრძოლის საგანი და მეორის მხრივ მკაფიოდ დაიხატოს ხალხის კეთილის მყოფელის, მენაბდიშვილის ბუნება, მისწრაფება, ხასიათი და მოქმედება. „მეზობლების“ ავტორს რომ ამ მხრივ რამდენადმდე მაინც დაეკმაყოფილებინა მაყურებელი, ზნეობრივი კავშირი თეატრის დარბაზისა და სცენის შორის ჭეშმარიტად სადღესასწაულო ხასიათს მიიღებდა, მაგრამ... სამწუხაროც ის არის, რომ ავტორი ამის მაგიერ მხოლოდ ფრაზეოლოგიას იძლევა, იმ ფრაზეოლოგიას, რომელიც უკვე ყველას მოსწყინდა და გასავალი აღარა აქვს.

დიაღ, ფრაზეოლოგია, ზოგადი სიტყვები, უნიადაგოდ მაღლა-მაღლა ფრენა - აი, მთავარი ნაკლი პიესისა, რომლის დაძლევაც თანამედროვე ქართულ დრამატიულ მწერლობისთვის ისტორიული დანიშნულებაა. „მეზობლებში“ საკმაო ელემენტებია დრამატიულ მდგომარეობის განსავითარებლად და ახალის და ძველის მიმართულების ან ცხოვრების შორის ატეხილ ბრძოლის გამოსარკვევად. მაგრამ ამ ელემენტებს ერთის მხრივ გაწმენდა სჭირია და მეორეს მხრივ განვითარება. ბ-ნს რამიშვილს, როგორც ახალგაზდა მწერალს, დიდ ცოდვად არ უნდა ჩაეთვალოს პიესის სუსტი ტეხნიკა, მაგრამ ჩვენ მაინც არ შეგვიძლია ეს გარემოებაც არ აღვნიშნოთ. მეორე და მესამე მოქმედება მეტად მოსაწყენი, მეტად უსიცოცხლოა; ექიმის გრუშნევსკის მკვირცხლი ტიპი რომ არ ტრიალებდეს სცენაზე, ეს ორი აქტი სრულიად უფხო და უგემური იქნებოდა, ამ ექიმს კი მხოლოდ ეპიზოდიური მნიშვნელობა აქვს და ბუნებრივად შეკავშირებული არ არის პიესის შინაარსთან. მეტად უშნო შთაბეჭდილებას ახდენს აქა-იქ, უადგილო-ადგილოს რუსული სიტყვების ჩარევა ლაპარაკში: ჩვენის აზრით, რუსული ფრაზები სრულებით უნდა გამოიტოვოს პიესიდან, თუ კიდევ მოუხდათ ქართველ მსახიობებს „მეზობლების წარმოდგენა.

ბ-ნ რამიშვილის პიესაში უარყოფითი ტიპები გაცილებით ცოცხლად და მკაფიოდ არის დახატული, ვიდრე სხვა ტიპები მაგრამ ამისი მიზეზი, ჩვენის აზრით, ის-კი არ არის, რომ ახალგაზდა ავტორს უარყოფითი ტიპების დასურათება უფრო ეხერხებოდეს, არამედ ის, რომ ეს ტიპები ჩვენ მწერლობაში საერთოდ უფრო შემუშავებული და უკედ დასურათებულია და ამასთან ბ-ნ რამიშვილს ისიც პირდაპირ ცხოვრებიდან აქვს ამოღებული.

დრამატიულ მწერლობის განახლებასთან ერთად ქართული თეატრის დარბაზი მედგრად თხოულობს მსახიობთა თამაშობის განახლებასაც, რადგან მუდამ ერთფეროვანი და ტლანქი მიხვრა-მოხვრა და სიტყვა-პასუხი ისეთის არტისტების, როგორიც, მაგალითად, ბ-ნი სვიმონიძე და ჩარკვიანია, ჩვენს საზოგადოებას ვეღარ აკმაყოფილებს. ამ ბუნებრივ ნაკლთან ერთად ჩვენ მსახიობებს ყოველთვის თანა სდევს სიზარმაცის ნაკლიც: მოუმზადებლობა, უყურადღებობა, როლების უცოდინარობა, დაუკვირვებლობა. ის მაინც უნდა გააკეთონ, რის გაკეთებაც შეუძლიანთ. არც რეჟისორი და არც არტისტები არავითარ ყურადღებას არ აქცევენ ბევრ წვრილმანს, რომლის გამოც შთაბეჭდილება იკარგება და პიესა ცუდად მოქმედებს. აი, თუნდა წარსულ საღამოს: მსახიობი ერთი კარების ნაცვლად მეორეში გადის როიალის დასაკრავად და იმავე კარებით შემოდის, თუმცა ხმა სხვა მხრიდან ისმის. შეყვარებულნი იქით გადიან, საიდანაც მოღალატე ცოლის ქმარი შემოდის, და სხვა მრავალი. ნუ თუ ასეთ უბრალო რამეს დიდი მოსაზრება და ჭკუა უნდა!

რუსეთი

შეთქმულობა. როგორც საზღვარ-გარეთელ გაზეთებს ატყობინებენ, პეტერბურგში პოლიციას ამას წინად დაუტუსაღებია რამდენიმე კაცი. ზოგი ამათგანი გავლენიანი პირია. ამბობენ, ამ დატუსაღებას კავშირი აქვს ანარქისტთა შეთქმულობასთანაო. დაჭერილ წერილებსა და სხვა დოკუმენტებიდან სჩანს, რომ ეს შეთქმულება ხელმწიფის და იმის გვარეულობის წინააღმდეგ ყოფილა რამდენიმე აფიცერი ყოფილა ჩარეული.

3 ნოემბრის მანიფესტის საქმე. თურმე ნადელების გამოსყიდვის საკითხი უკვე წარსულ წელს ყოფილა აღძრული. მოხსენებაც-კი შეუდგენიათ, მაგრამ დღემდის ეს მოხსენება სახელმწიფო საბჭოში ყოფილა შენახული. მოხსენების დამწერნი დარწმუნებულნი ყოფილან, რომ ეს საკითხი მალე გადაწყდებოდა, ამიტომ მანიფესტის ტექსტიც კი შეუდგენიათ. ეს ამბავი მოხდა ამ წლის 30 მარტს. ამის შემდეგ სახელმწიფო საბჭოს სხვა და სხვა დამატება და ცვლილება შეჰქონდა მოხსენებაში და აგვიანებდა მანიფესტის გამოცხადებას. ბოლოს 3 ნოემბერს გრ. ვიტტეს ძალ-დატანებით ძლივს გამოვიდა მანიფესტი.

მუშათა მოწოდება. მუშათა დეპუტატების რჩევა მიჰმართავს სრულიად რუსეთის პროლეტარიატს და სთხოვს დახმარება აღმოუჩინოს ფაბრიკების და ქარხნების დახურვის გამო ულუკმაპუროდ დარჩენილ ამხანაგებს. ამავე რჩევამ გადასწყვიტა საერთო გაფიცვა მოახდინოს. დრო ჯერ დანიშნული არ არის.

უთანხმოება მინისტრებს შორის. ამბობენ, რომ მინისტრთა საბჭოში დიდი უთანხმოებააო. დურნოვო სამსახურს თავს ანებებს. ვიტტე სცდილობს საერობო პარტია მიიმხროს.

რა ხდება რუსეთში. გაზ. „ვოზროჟდ.“-ს პეტერბურგიდან ატყობინებენ, შემდეგს: „პეტერბურგში ხმა დადის, რომ საეკლესიო სკოლები საერო განათლების სამინისტროს ხელში გადავა. ხმები მანჯურიის ჯარში მღელვარების შესახებ მართლდება. მთავრობა ჯერ-ჯერობით მალავს ამ ხმებს. ლინევიჩს გაუგია, რომ ჯარში 160 აგიტატორიაო და მიუღია ზომები მათ დასატუსაღებლად. გლეხთა კავშირის ორგანიზატორების დატუსაღება დიდ მღელვარებას იწვევს ხალხში. განათლების მინისტრის ინიციატივით ბევრ დიდ მოხელეებს ითხოვენ. გაზეთები თხოულობენ ტიხომიროვის სამსახურიდან დათხოვნას. მინისტრთა საბჭო ფიქრობს შემოიღოს ისეთი წესი, რომ გენერალ-გუბერნატორები მას ემორჩილებოდნენ, ამისთვის აპირობენ, გააფართოვონ მათი პასუხის-მგებლობა: პროექტს უკვე იხილავენ“.

გლეხთა მიწათ-მფლობელობის მოწესრიგება. ხმა დადის, რომ საგლეხო ბანკი შეუდგა თავის წესდების შეცვლას ახალ დანიშნულების დაგვარად. ბანკის მმართველობა ფიქრობს ახალ საქმისთვის მოიწვიოს ერობა, რადგან საქმის ფართოდ დაყენებაა საჭირო და პროგრამმა-კი რაც შეიძლება მალე უნდა შემუშავდეს. ერობის წარმომადგენელნი მიწვეულნი იქნებიან საგლეხო ბანკის საბჭოსა და ადგილობრივ განყოფილებებში. ამით ფიქრობენ თავიდან აიცილონ ის უსამართლობა, რომელიც ხდება ხოლმე გასასყიდ მიწების დაფასების დროს. ამიერიდან მიწების დაფასება ერობის წარმომადგენელთ მიენდობათ.

წერილები.

ხევი. ხუთი წელიწადი იქმნება მას შემდეგ, რაც დევდორაკის მადნებში კაპიტალისტმა ბ. ბიშლერმა მუშაობა დაიწყო. (დევდორაკის მადნები მდგომარეობს საქართველოს სამხედრო გზიდან 7 ვერსის მანძილზე მყინვარისკენ, ხოლო სად. ყაზბეგიდან 15 ვერსის მანძილზე). წინა წლებში მუშათა რიცხვი არ აღემატებოდა ორმოცს კაცს, მაგრამ წარსულს და მიმდინარე წლებში, როდესაც დამტკიცდა მადანის სიძლიერე, მუშათა რიცხვი 300-მდე ავიდა ბიშლერმა დასდგა მანქანები მადნის კლდეებიდან გზასთან ჩამოსატანად და გახურებულ მუშაობით უქმს და არა უქმს დღეებში ოფლს ღვრიდნენ მუშა მოხევეები. თვითონ ბიშლერი იშვიათად იმყოფებოდა დევდორაკის მადნებში, რადგან სხვაგანაც ჰქონდა მადნები. ბიშლერი წინა წლებში თუმცა გვიან, მაგრამ მაინც უსწორდებოდა მუშებს, ახლა-კი, როდესაც უკანასკნელად მოვიდა და დაიბარა მუშა ხალხი რვა ოქტომბერს ზევით ყაზარმაში *) გასასწორებლად, ცოტა არ იყვეს, შესცვალა თვისი გასწორების გეგმა. მუშა მოხევეები სიხარულით გაუდგნენ გზას იმ იმედით, რომ მიიღებდნენ თავიანთ ნაოფლარ ფულს და მომავალ სუსხიან ზამთარს თავის ოჯახს შემატებდნენ რამეს. მუშა ხალხი უკვე ყაზარმაში იყო შეკრებილი და უცდიდა თავის ნაოფლარის მიღებას, რომ ბიშლერი სტუმრებით ნადიმში გართული იყო. ბოლოს, როდესაც მუშები შიმშილმა შეაწუხა, აცნობეს, რომ გამოსულიყო ბიშლერი. იმან თავი არ შეიწუხა და უბრძანა მუშებს, ახლა ქვევით ყაზარმებთან ჩასულიყვნენ (ზევით ყაზარმიდან ქვევითამდე 7 ვერსტია). მუშები დასთანხმდნენ და ჩავიდნენ ქვევით. ლოდინის შემდეგ ჩამობრძანდა ბიშლერიც თავის ამალით და მუშებს შემდეგის სიტყვებით მიმართა: „მე ფული თან არ მომყოლია თქვენთან გასასწორებლად. ამ მოკლე ხანში მოვალ და ფულს უკლებლად ჩაგაბარებთ“-ო. ამ სიტყვების დათავების შემდეგ უბრძანა მეეტლეს მიერთმია ეტლი. მუშებში ჯერ ისევ ჩაჩქოლილი იყო და არ იცოდნენ, როგორ მოქცეულიყვნენ. ეტლი მოიყვანეს და ბიშლერიც გამობრძანდა თავის ამალით, მაგრამ სწორედ ამ დროს აივსო მუშა ხალხის მოთმინების ფიალა, მივარდნენ ეტლს, გამოუშვეს ცხენები და უბრძანეს ბიშლერს გადაეხადა საკუთარის ოფლით დამუშავებული ფული. ბიშლერმა ყაზარმაში შეასწრო. მუშათა ბრბო არ შორდებოდა ყაზარმას და ელოდა პასუხს, მაგრამ ამაოდ. მეეტლეს მეორედ ებრძანა შეება ცხენები და მოერთმია, მაგრამ მუშები მეორედაც და მესამედაც ისე მოიქცნენ, როგორც პირველად. ბიშლერმა გადასწყვიტა, ღამე ყაზარმაში გაეთენებინა, მუშებს შიმშილი უარესად შეაწუხებდა და დაიშლებოდნენ და თვითონ თავისუფალ დროს მოუსვამდა კავკავისკენ. მაგრამ შესცდა. მოხევეები მაგარი ხალხია და არა ერთხელ გამოუცდია შიმშილ-წყურვილი და ახლაც გადასწყვიტეს ყაზარმასთან გათენება. ბიშლერმა კაცი აფრინა ზევით ყაზარმაში ვახშმის ჩამოსატანად. გაგზავნილი უკვე მოაჭენებდა ცხენს, სანოვაგით დატვირთულს, მაგრამ აქაც გადაეღობნენ მოხევეები და ყველაფერი ჩამოართვეს, ხოლო ბიშლერს შეუთვალეს: „თუ ჩვენ, მუშები ვითმენთ შიმშილს, ჩვენმა ბატონმაც გასძლოს და მაშინ უფრო ადვილად იგრძნობს მუშის გაჭირვებულ მდგომარეობასაო“. შემდეგ ბიშლერმა კაცი აფრინა სტეფან-წმინდის (ყაზბეგის) მამასახლისთან. მამასახლისმაც არ დაიგვიანა. იმის დანახვაზე ბიშლერს ფრთები შეესხა, მაგრამ მამასახლისმა ხალხის მხარე დაიჭირა. ბიშლერმა 900 მანეთი გადასცა მამასახლისს იმ პირობით, თუ რომ ბიშლერი სამის დღის განმავლობაში არ მოუტანდა მუშებს სრულად ფულს, ბიშლერის 900 მანეთი უნდა დარჩენილიყო მუშების სასარგებლოდ. ხელწერილი დასწერეს და ბიშლერმა საკუთარის ხელით მოაწერა თავისი გვარი. თავდებობა იკისრა მის ამალათაგანმა ცნობილმა ბ. თულათოვმა. მამასახლისმა ჩაიბარა 900 მანეთი და ხელწერილი და დაიშალნენ. ბიშლერმა იმ წუთსვე მოჰკურცხლა. გავიდა სამი დღე და მუშები გაემართნენ დევდორაკისკენ ფულის მისაღებათ, მაგრამ მამასახლისმა შეაყენა იგინი სად. ყაზბეგში და წაუკითხა შემდეგის შინაარსის დეპეშა: „მამასახლის ჩოპიკოვს. 900 მან., რომელიც მე გადმოგეცით, შეინახეთ ჩემ განკარგულებამდე. ხელწერილს უკანონოდ ვთვლი, რადგან იძულებით მომაწერინეს ხელი. გასტუმრების დღეს გაცნობებთ. ბიშლერი“. აი ასე ატყუებენ ხალხს ზოგიერთი ვაჟბატონები. ურიგო არ იქნებოდა, ეს ფაქტი რუსულ გაზეთებსაც აღენიშნათ.

ვანო ყაზბეგელი

წერილი რედაქციის მიმართ

ბ-ნო რედაქტორო!

„ცნობის ფურცლის“ მე-2908 №, სხვათა შორის, დაბეჭდილია: „ზემო ქალაში ყრილობა მოხდა გლეხთა და მემამულეთა შესათანხმებლად. ორ თუ სამ მემამულის წყალობით შეთანხმება ვერ მოხდა. ყველა, ვინც არ დაესწრო ამ ყრილობას, ზემო მოყვანილ სიტყვებიდან, მე ვგონებ, ამ დასკვნას გამოიყვანს: „ძლივ-ძლივ მოიწყო საქმე ისე, რომ არსებულ დღეს გლეხთა და მემამულეთა შორის უთანხმოებას, არა სასურველ მტრობას უნდა ბოლო მოღებოდა სამუდამოდ თუ არა, დროებითი მაინც, და აი გამოვიდა ორი თუ სამი ბოროტი, შეუბრალებელი, არა კეთილად გათავების მოსურნე ამ საქმის მემამულე და ხელი შეუშალა ამ დიახ კეთილ და სასურველ საქმესა“ მხოლოდ ამ ყრილობაზე დამსწრეში კი გამოიწვევს განცვიფრებას, როგორც სიცრუე: ოქტომბრის პირველ რიცხვებში მეც, სხვათა მემამულეთა შორის, მიწვეული გახლდით ს. ქვემო-ქალას აწ არსებულ ჩვენდა გლეხთა შორის უთანხმოების მიზეზების გამოსაკვლევლად და მათ მოსასპობლად. ამ ყრილობაზე მყოფმა ბ-ნმა ალექსანდრე ლევანის ძე აბაზაძემ გამოგვიცხადა, რომ მას და 6 ამორჩეულ გლეხთაგან კაცს მინდობილი აქვს ამ საქმის გათავება და წარმოგვიდგინა სოფელ ქალის საზოგადოების კერძობითი გადაწყვეტილება, რომლიდან სჩანდა, რომ ექვს ამორჩეულ კაცს მინდობილი აქვთ „დახმარებით ბ. ალ. ლევ. ძის აბაზაძისა შეიმუშაონ შესაფერი პროექტი, რომელიც გამოეცხადოს ორსავე მხარეს—მემამულეთ და საზოგადოებას—და, უკეთუ იგი მიღებულ იქმნა მათგან, დამტკიცდეს ლაპარაკი გვქონდა ხოლოდ შესახებ სარგებლობისა საძოვრისა და ტყისა. ამ საქმის შესახებ გლეხთა წარმომადგენლებმა (4) წარმოსთქვეს თავისი აზრი, მემამულეთა თავისი, დაბოლავება კი ამისა ვერ იქმნა, რადგან გლეხთა წარმომადგენლებმა ვერ იკისრეს იგი დაუკითხავად საზოგადოებისა, რის გამო გვთხოვეს გვედროვა. ჩვენც დავთანხმდით. ამით გათავდა ჩვენი ყრილობა, მოლაპარაკება. აბა სად გახლავთ, ერთი მიბრძანეთ, აქ მორიგება, ან ვისგანმე ხელის შეშლა?! ან როგორ შეიძლება შეშლა იმ საქმისა, რომელიც არ მომხდარა? როგორ მოხდებოდა „შეთანხმება“, როდესაც რომ ჯერ-ჯერობით არ არის „შემუშავებული და წარმოდგენილი ამის შესახებ „პროექტი“?! და უკეთუ მე ვსცდები და ეს ასე არ გახლდათ, პროექტი წარმოდგენილ-წაკითხულ იყო, გამოცხადდეს იგი და დასახელებულ იქმნან ის პირნი, რომელთაც ხელი შეუშალეს ამ სამწუხარო დღეს მემამულეთა და გლეხთა შორის არსებულ დიახაც არა სანატრელ უთანხმოება—უსიამოვნებას. ამ გვარ გვამთა სახელი და გვარი უნდა გამოცხადდეს საქვეყნოდ; მაგრამ თქვენი კორესპონდენტი ვერ დაასახელებს მათ, რადგან, ვიმეორებ, რაკი პროექტი შეთანხმებისა არ არსებობს, ხელის შეშლაც არ არსებობს საგნისა ყოვლად შეუძლებელია: ex nihio—nihil—აბა საიდან არა რაი იქნების! ამ ყრილობაზედ გამოითქვა სხოლოდ ორთავე მხარის აზრი შესახებ ამა თუ იმ საგნისა, მხოლოდ გარდაწყვეტა გადიდო სურვილისამებრ გლეხთა ახლო მომავლისთვის. მე მივაქციე აქ მცირე შენიშვნას ყურადღება მხოლოდ იმის გამო, რომ ამ არეულ-დარეულობის დროს ყოველი კეთილის მყოფი ჩვენი ქვეყნისა დიდის სიფრთხილით უნდა მოექცეს ბეჭდვითი სიტყვას, რადგან ამ დროს ერთი უბრალო, იქმნება, უანგარო, სიცრუემ შეიძლება გამოიწვიოს იმისთანა უსიამოვნება, უბედურება, რომლის გასწორება დიდად და დიდად გასაჭირისი იყოს.

ნიკოლოოზ იაკინთეს-ძე ალექსეევ-მესხიშვილი

---

*) სადგურ ყაზბეგიდან 15 ვერსია, სხვა მუშათა სოფლებიდან 20-30.

რედაქტორ-გამომცემელი **ალ. გ. ჯაბადარი.**

გამოსადეგი ცნობანი

ეტერბურგის ბირჟა 12 ნოემბ.	**1905 წ.**
ლონდონისაზე 10 გირვ. სტ.	93,75
ბერლინისაზე 100 მარკაში.	—
პარიზისაზე 100 ფრანკში	—
ლონდონისაზე ჩეკები.	94,70
ბერლინისაზე „	46,30
პარიზისაზე „	37,70
ბირჟის დისკონტი	5¼---7½
4% სახელმწიფო რენტა	87⅛
4% სახელმწ. სესხი 1902 წ.	—
4½% შინაგანი სესხი 1903 წ.	—
4% გირ. ფურ. სახელ. ს.-მამ. ბანკ.	85,½
5% 1 შინ. სესხ. მომ. ბილ. 1864 წ.	451½
5% მე-2 შინ. ეს. მომ. ბილ. 1866 წ.	346½
5% გირ. მომ. ფურც. სახ. ს.-მამ. ბან.	280
5% ობლ. ტფილ. საკრედ. საზოგად.	—
4½% ობლიგ. იმავე საზოგადოებისა	—
5%-ანი ობლ. ბაქოს საკრედ. საზოგ.	—
5% გირ. ფურც. ტფილ. ს.-მამ. ბანკ.	—
4½% გირვ. ფურც. ამავე ბანკისა.	—
6% გირ. ფურც. ქუთ. ს.-მამ. ბანკისა.	—
5% გირავ. ფურც. იმავე ბანკისა.	—
ს. ი. მანთაშევისა და ამხ. აქცია.	200

საავადმყოფოები

ქალაქის სახელმწიფო საავადმყოფო. მიხეილის ქუჩა, სახელმწიფო სახლი. ფასი საერთ. ოთახში—12 მან. ცალკე ოთახში—60 მან. თვეში. უფასო ქალაქის ღამის თავ-შესაფარი სახლები:

ქალაქის სამკურნალო. მუხრანის ქუჩა, სახლი ტერ-ოსიპოვისა. რჩევა 30 კაპ., ღარიბთათვის რჩევაცა და წამლობაც უფასოა. სამკურნალოს გამგე ექიმი გ. თარხანოვი.

ალაქის სამკურნალოს განყოფილებანი

ავლაბარსა. კახეთის ქუჩა, სახლი ტერტეროვისა. გამგე ექიმი მირაქოვი.

კუკიისა. ალექსანდროვის ქუჩა, სახლი მელქუმოვისა. ექიმი ნ. კასუმოვი.

ხარფუხისა. ვორონცოვის ქუჩა, სახლი ედიგაროვისა. ექიმი ტერ-ასატუროვი.

თვალების სამკურნალო. ელისაბედის ქუჩა, სახლი ჩითახოვისა. ავადმყოფებს უფასოდ აძლევენ რჩევას. გამგე პუტიატა.

ქალაქის საავადმყოფო სულით ავადმყოფთათვის. უფასო, იმყოფება კოჯრის ქუჩაზე, პარონესა ტიზენგაუზენისა და ეჯუბოვის სახლში. ექიმი გედევანიშვილი.

სიფილისით ავადმყოფ ქალთათვის საავადმყოფო იმყოფება ავლაბარში, პეტრე-პავლეს ეკკლესიასთან. 25 ადგილი უფასოა, 15 ადგილი—ფასიანია. თვეში 2 მან. გამგე ექიმი ისტამანოვი.

გადამდებ სენით ავადმყოფთათვის უფასო საავადმყოფო. გამგე ექიმი გულულიანცი.

1) ვორონცოვის ქუჩა, მეექვსე ნაწილი, სახლი მელიქიანცისა.
2) დიდუბეში სახლი გოლდლიუსტისა.

განცხადებანი

დაიბეჭდა და იყიდება წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში **„სხივის“** ამხანაგობის გამოცემული **პირველი წიგნი** ივ. გომართლის

ჯუზეპე გარიბალდი

ფასი ორი შაური

ვინც ნაღდად ოცს ცალსა და მეტს იყიდის, დაეთმობა: ტფილისში 6 კაპ., ტფილის გარეთ გაგზავნით 7 კაპ.

წიგნის საწყობი—„ჯეჯილის“ რედაქციაში, არტილ. ქ. № 5. (10—6. 10)

კბილებს

იღებ, პლომბს ვუკეთებ, ვასუფთავებ, ვსვამ ახალ ელოვნურ კბილებს და ვაშორებ ცუდ სუნს. გ. მ. იოხვედი. მიხეილის ქ. № 108. გერმანელთა ტაძრის პირდაპირ. ხელ-მოკლეებს იაფად. (30—20).

«წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობისა»

კიოსკში

ლორის-მელიქოვის ქუჩა, ალექსანდროვის ბაღის კუთხეში, იყიდება ამხ. გამოცემული წიგნები:

	მ.	კ.
დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა—პოლმა ბაჩანასი	—	10
იოსებ დავითაშვილის ლექსები	—	50
ბნელთ, მოთხრობა—მელანიასი	—	20
ალ. გაზბეგის I, ტომი	1	—
II და III ტომი თითო	1	—
ილ. ჭავჭავაძის I ტომი	—	70
იგივე II და III ტომი თითო	—	60
იგივე IV ტ. ორ წიგნად	—	80
სოფლის კუნძულ, დ. მაჩხანელისა	—	10
სიბრძნე-სიცრუე—საბა სულხან ორბელიანისა	—	40
აკაკი წერეთლის I და II ტ. თითო	—	60
რაფ. ერისთავის I ტომი	—	60
საქართველოს წარსული დრო—პოტტოსი	—	20
აივენგო რომანი—ვალტერ სკოტისა	—	55
ხიბრძნე ბალავარისა	—	30
აღა-მაჰმად-ხანის შემოსვლა ტფილისში	—	10
ღვინის დაყენება, პროფ. გ. პეტრიაშვილისა	1	50
რძე, მისივე	1	50
ცეცხლითა და მახვილითა, რომანი—ჰენრიხ სენკევიჩისა	—	80
დასტურ-ლამა	—	20
სურათები საქართველოს მეფეთა, დედოფალთა და ბატონიშვილთა	—	25
ფიზიოლოგია—ფოსტერისა	—	20
ხენთი რაფაელი, თარგმანი სომხურიდან კ. ევანგულოვისა	1	—

ტფილისის ქალაქის

გამგეობა

აცხადებს, რომ 23 ნოემბერს, 12 საათზე, დანიშნულია ვაჭრობა, რომელზედაც გაიცემა არხის გაყვანის საქმე კოჯრისა და ბებუთოვის ქუჩებზე, მე-4 ნაწილში, 98 ს. ბეტონის მილი 0.25+0. 16. 3 მილების საშინჯი ჭა.

წერილობითი განცხადებანი ფასის აღნიშვნით უნდა წარედგინოს დაბეჭდილ კონვერტებში 23 ნოემბრამდე. (3—6.—1)

ახლად დაბეჭდილი

სამზარეულო

ფასი 1 მან. 50 კაპ.

იყიდება წიგნების გამომცემელ ქართველთა ამხანაგ. კიოსკში, ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ, ალექსანდრეს ბაღის კუთხეში, ქ. ტფილისში. ვისაც ათის ან მეტის ეგზემპლიარის ყიდვა ჰსურს, მიჰმართოს ქართველთა ამხ. კანტორას, ვანქის ქუჩაზე, ამხ. სტამბაში. (წლ.)

ქუთაისში

სამ. ბ. თიფურიას **სამკურნალო**, რომელიც იმყოფება **მათი უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ**, სამკურნალოში 75 საწოლია შინაგან, ნერვებისა, სახირურგიო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდებ სენით და სულით ავადმყოფებს სამკურნალო არ ღებულობს.

დღიური ფასი საავადმყოფოში შენახვით და წამლობით 1 მანათიდან 3-მდე.

კბილის ექიმი
ივანე პ. ახალშენიშვილი

ნიკოლოოზისა (№ 32) და ხიდის ქ. (№ 21) კუთხეში, ავჭალის ქუჩის დასაწყისში, ავადმყოფებს ღებულობს: დილის 9—2-მდის და საღამოს 5—7-მდის, კვირა-უქმეობით 10—1-მდის.

სიბრძნე-სიცრუე

ახალი გამოცემა

იყიდება ქართველთა ამხანაგობის კიოსკში.

საყმაწვილო სურათებიანი ჟურნალი

„ნაკადული“

წელიწადი მეორე. წელიწადი ითვლება ნოემბრიდან—ნოემბრამდე.

ხელის მოწერა მიიღება: რედაქციაში, „წ. კ. გ. საზოგადოების“ კანცელარიაში და მარიამ დემურიას სადგომში—ალექსანდროვის ქუჩა № 5.

რედაქცია იმყოფება ტფილისში, გოლოვინის პროსპექტზე, ზუბალაშვილის სახლში № 8.

დასაბეჭდად გამოგზავნილი წერილები სუფთად და გარკვევით უნდა იყოს დაწერილი.

ჟურნალის ფასი: ერთად ორივე გამოცემა წელიწადში 5 მან., ცალ-ცალკე სამ-სამი მან. ნახევარ წლით ერთად 2 მან. 50 კაპ., ცალ-ცალკე 1 მან. 50 კაპ., თვეში 50 კაპ. ცალ-ცალკე ნომერი „მცირე წლოვანთათვის“ 15 კაპ., მოზრდილთათვის 25 კაპ. წლიურ ხელის მომწერთ შეუძლიანთ თვეში თითო მანეთი შემოიტანონ.

შარშანდელი მთელი წლის ნომრები იყიდება სამ მანათად

პირობებზე მოსალაპარაკებლად რედაქცია ღიაა დილის 9-დან ნაშუადღევის 2 საათამდე.

ფოსტის ადრესი: **Тифлисъ, Редакція „НАКАДУЛИ“.**

რედაქტორი **მარიამ ივანეს ასული დემურიასი**.
გამომცემელი **თავ. პავლე იოსების ძე თუმანიშვილი**

ტელეფონი № 1051.

პირველი საწყობი შეშისა

✦ პ. ი. კურცხალიასი ✦

ანდრეევის ქუჩა, დამოჟნის პირდაპირ. **საკუთარის ტყიდან** მიღებულია დიდ-ძალი შეშა ყოველგვარ ღირსებისა, რცხილისა, წიფლისა, მუხისა, რთხმელისა და სხვა. მუხის დიდი ბოძები. შეშის სახლში მიტანას ფირმა საკუთარ პოვოზკებით ასრულობს. შეშა იყიდება საჟენობითაც და ფუთობითაც. მყიდველს ნება აქვს შეშის საჟენი თავისი თვალ-წინ დაადგმევინოს, რადგანაც მსყიდველები ბევრჯელ სტყუვდებიან დადებულ საჟენებიდან. (10—9)

გამგე ნიკოლოზ პავლეს ძე კიკნაძე.

ვანქის დიდი ქუჩა. ტელეფონი № 372.